სულფიდური მადნების უანგვითი გამოწვის პროცესში უანგბადით მდიდარი ჰაერის გამოყენების თეორიული საფუძვლები წამოყენებული იყო პროფ. ვოლკის მიერ 1934 წ. მეტალურგთა სრულიად საკითხორ ინენერ-ტექნიკოსთა საზოგადოების ყრილობაზე [4].



უანგბადით მდიდარი ჰაერის გამოყენება იწვევს ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შეცვლის, აირნარევში უანგბადის პარციალური წევის გადიდებას, რეაქ-

ციის სიჩქარის ზრდას ფორმულით: $v = Ae^{-\frac{RT}{E}}$ და სხვა.

ღარიბი ალმაზების გამოყენების გზები

იმავე დროს რეაქციის სიჩქარის ზრდისას სულფიდურ მაღნებში გოგირ-დის დიდი შემცველობის შემთხვევაში ადგილი აქვს სულფატების წარმოქმნას საქმიოდ დიდი რაოდენობით.

სულფიდური მაღნების გამოწვისას რეაქციები შეიძლება გამოესახოთ შემდეგი განტოლებებით:



(2) რეაქციის წონასწორობის მუდმივა იქნება:

$$K'p = \frac{P_{\text{SO}_2}^2 - P_{\text{O}_2}}{P_{\text{SO}_3}}$$

ან

$$P_{\text{SO}_3} = P_{\text{SO}_2} \sqrt{\frac{P_{\text{O}_2}}{K'p}}.$$

თუ (3) რეაქციის შექცევადობისას მიღებული SO_3 -ის პარციალურ წნევას აღნიშნავთ P_{SO_3} -ით, მაშინ (3) რეაქცია წარმოიდგინა შემდეგი უტოლობისას:

$$P_{\text{SO}_3} = P_{\text{SO}_2} \sqrt{\frac{P_{\text{O}_2}}{K'p}} > P'_{\text{SO}_3}.$$

წარმოქმნილი სულფატები დაშლისათვის მოითხოვენ მაღალ ტემპერატურას, ამას კი შეუძლია გამოიწვიოს მასალის შეცხობა. ამ უარყოფით მოვლენას ადგილი არ ექნება ღარიბი სულფიდური მაღნების გამოწვისას.

გაშასადამე, ჩევნ პირობებში უანგბადით მდიდარი ჰაერის გამოყენებას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ღარიბი სულფიდური მაღნების გამოწვისას.

ალმაღნების გამოწვისათვის ვიყენებდით 25, 40 და 50%-მდე უანგბადით გამდიდრებულ ჰაერს. გამოწვივს ხანგრძლივა იცვლებოდა 5-დან 30 წუთამდე. ტემპერატურა—900°; წოლა ყველა ცდაში—3 გ.


ცდის შედეგები № 1 ნიმუშისათვის მოცუმულია 1-ელ ცხრილში და მე-2 ნახაზზე, ხოლო № 2 ნიმუშისათვის—მე-2 ცხრილში და მე-3 ნახაზზე. ამ ცხრილებში და ნახაზზე მოცუმულია დამკიდებულება გამოწვის ხარისხისა (პროცენტებით) მის ხანგრძლივობაზე, ჰაერში უანგბადის სხვადასხვა შემცველობისას.

ცხრილი 1

დრო წუთებით	უანგბადის შემცველობა ჰაერში		
	25%	40%	50%
5	25,71	36,23	45,03
10	40,60	50,01	60,60
15	46,26	57,97	65,75
20	50,01	60,67	70,34
25	57,32	68,00	76,92
30	58,32	70,92	78,05

հողագործ ամ թոնացվեմբօլան ჩանչ, № 1 նօմութիսատցուս ցամովցուս ხարուսո 53% թուղթեա:

Ֆայրուս արմուսցուրութիւն ցամովցուսաս	30	Մկան. ցանմացլ.
25%-մկան շանցձագութ ցամունքութիւն ֆայրութիւն	20	" "
40 " " " " "	11,5	" "
50 " " " " "	7	" "



Բաժ. 2

Ասցետսաց սյուրատս օճառաց № 2 նօմութիւն. ամ ֆյումացցաց 74% ցամովցուս խարուսո թուղթեա:

Ֆայրուս արմուսցուրութիւն ցամովցուսաս	30	Մկանմացլ.
25%-մկան շանցձագութ ցամունքութիւն ֆայրութիւն	17	" "
40 " " " " "	12,5	" "
50 " " " " "	10,5	" "

Ընթացկան 2


Ժրութիւն	Շանցձագութ Մրմցացլունակ ֆայրութիւն		
	25%	40%	50%
5	39,47	46,58	54,31
10	62,21	66,42	71,79
15	69,10	81,91	86,96
20	78,96	86,63	93,16
25	83,90	92,43	93,18
30	85,96	92,43	94,40

Ամացց դրուս օնթութեա ցամովցուս խարուսո:

№ 1 նօմութիսատցուս—53%—օնթութեա—78%—մկան,

և օնթութեա—74%—օնթութեա—94%—”

ամսանորագ, շանցձագութ ցամունքութիւն ֆայրուս ցամունքութիւն օնթութեա հողագործ ցամովցուս խարուսո, օնց մկան սոհիքարե:



ნახ. 3

2. სხვადასხვა შედგენილობის ალმადნების ნარევების გამოწვევა

როგორც ცნობილია, ალმადნის გამოწვის ხარისხზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, რომელთაგან შეცხობადობა ერთ-ერთი ძირითადთაგანია. ეს თვისება დაკავშირებულია გამოწვის განსაზღვრულ ტემპერატურულ პირობებთან, რომლის დროსაც შექმლებელია მაღალი დესულფურიზაციის ხარისხის მიღება.

ჩვენ მიერ შესწავლილი ალმადნებიდან № 4 ნიმუში შეცხობადობით ხასიათდება; ეს ალმადანი შეიძლება გამოყენებულ იქნეს დამოუკიდებელი გამოწვისათვის, მაგრამ შეცხობის უნარი რამდენიმედ ამცირებს მის საჭარმოო მინიშვნელობას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ შეგვემცირებინა ან მთლიანად მოგვესპო აღნიშნული ალმადნის ეს უარყოფითი ოვისება.

ცხრილი 3

კაზმის №№	კაზმის შედგენილობა %/ით			ტემპერატურა °C-ით		შეცხობადობა
	ნიმუში № 4	ნიმუში № 1	ნიმუში № 2	900	1000	
1	100	—	—	94,51	—	ცხვბა
2	95	5	—	93,70	—	„
3	90	10	—	92,82	—	„
4	85	15	—	90,97	—	არ ცხვება
5	80	20	—	90,20	—	არ ცხვება
6	75	—	25	92,21	92,70	ცხვება
7	75	—	25	93,72	94,50	არ ცხვება
8	70	—	30	94,23	96,74	არ ცხვება

ამ მიზნით № 4 ნიმუშს კუმატებდით ღარიბი აღმაღნის № 1 და № 2 ნიმუშებს და ვახდენლით მათ გამოწვის 30 წუთის განმავლობაში.

შედეგები მოცემულია მე-3 ცხრილში.

როგორც მონაცემებიდან ჩანს, მხოლოდ № 5 და № 8 კაზში, ღაახლოებით 29—30% გოგირდის შეცველობით, მოკლებულია შეცხობის უნარს და იძლევა მისაღებ გამოწვის ხარისხს. მაგრამ № 8 კაზში (№ 4 მაღნის 70% და № 2 მაღნის 30% ნარევს) უბირატესობა აქვს № 5 კაზმთან, რადგან პირველში შეცხობის უნარის გაქარწყლებისთან ერთად იზრდება გამოწვის ხარისხი.

№ № 2—5 და № № 6—8 კაზმების განსხვავებული ყოფა კუთხით, იმავება მათი შედეგნილობის განსხვავებით და პირველ კაზმებში მოცემული ტემპერატურისას ნაწილი გოგირდის დაუშლელ ფორმაში შებოჭვით.

3. ღარიბი ალმალნების აირგამშემენდ მასასთან გამოწვი

აირგამშემენდი მასა, როგორც მიღება კოქსის აირის გაშვენდის შედევად და შეიცავს 40%—დან—60%—მდე გოგირდს, შეიძლება დატმატოს ღარიბი მაღნებს მათი გამოწვის ხარისხის გადიდების მიზნით.

ჩვენ თავიდანვე შევისწავლეთ სუფთა აირგამშემენდი მასის გამოწვის ხარისხი სხვადასხვა ტემპერატურაზე.

შემდეგ სერიისგვით ვიღებდით ღარიბი აღმაღნის ნიმუშების ნარევს აირგამშემენდ მასასთან სხვადასხვა ფარდობით. გამოწვის ხანგრძლიობა იყო 30 წუთი.

აირგამშემენდი მასისა და № 1 ნიმუშის კაზმის გამოწვის შედეგები მოცემულია მე-4 ცხრილში და მე-4 ნახაზზე.

ცხრილი 4


კაზმის	კაზმის შედეგნილობა %-ით		ტემპერატურა °C-ით						
	№№	აირგამშ. მასა	№ 1 ნიმუში		600	700	800	900	1000
			აირგამშ. მასა	ნიმუში					
1	100		—	—	70,80	82,25	89,27	94,77	97,90
2	10	90	35,53	48,35	61,53	64,17	64,17		
3	20	80	44,89	58,06	66,97	71,41	76,13		
4	30	70	49,87	62,79	71,96	81,55	81,13		
5	40	60	55,87	72,39	80,62	87,97	87,97		
6	50	50	61,03	76,93	85,85	90,95	94,73		

როგორც მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რაც მეტია კაზმში აირგამშემენდი მასა, მით მეტია გამოწვის ხარისხი.

ღარიბი მაღნისა და აირგამშემენდი მასის 1:1 შეფარდებისას მიღება საქმიან გამოწვის ხარისხი.

ცხები ჩატარებული იყო აგრეთვე აირგამშემენდი მასისა და № 2 ნიმუშის კაზმებზე მბრუნავ ღუშელში, რის შედეგადაც მიღებულია კიდევ უფრო მიღალი მაჩვნებლები.

ამრიგად, ლამინგის მასის დამატება ღარიბი მაღნებისადმი მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს.



ნახ. 4

დასკვნა

დარიბი ალმადნების გამოყენებისათვის შემიღება შემდეგი გზები დაისახოს:

1. დარიბი ალმადნების ჟანგბადით გამდიდრებულ პერში გამოწვა;
2. შეცხობადი სულფიდური მაღნებისა და ლარიბი ალმადნების ნარევების გამოწვა;
3. დარიბი ალმადნებისა და აირგამშენდი მასის ნარევების გამოწვა.

ს. მ. კიროვის სახელობის
პოლიტექნიკური ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციის მოუკიდა 4.6.1949)

დამოუმჯობლი ლიტერატურა

1. В. М. Какабаев, Т. И. Гачечиладзе. К вопросу использования колчеданов. Сб. Землесоружие и обогащение сырья. № 20, 1949.
2. К. М. Малин. Применение кислорода при обжиге сернистого сырья. ЖПХ, № 5, 1944.
3. Н. П. Днепров и Ю. В. Каракин. Окисление сульфидов воздухом, обогащенных кислородом. ЖПХ, 7—8, 1938.
4. А. Н. Вольский. Физико-химические условия применения воздуха, обогащенного кислородом в металлургии цветных металлов. Цветные металлы, № 4, 1934.
7. „მოამბე“, ტ. XI, № 2, 1950

გეოლოგია

პ. გამზრილიძე

ახალი მონაცემები ძალის რაიონის ტექტონიკის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჯანელიძემ 24.8.1949)

მიუხედავად იმისა, რომ კვაისის რაიონი გეოლოგიურად დიდი ხანია ცნობილი და აქ მრავალ გეოლოგს უმშავნია, მისი ტექტონიკა დღემდე მაინც გაუტვივევილი იყო. კველაზე უფრო სრული და სწორი ცნობები უფრო ფართო რაიონის გეოლოგიის შესახებ მოცემულია ი. ვ. კახაძისა და ნ. კანდელაკის შრომაში [1].

ჩვენმა დაკარგებებმა საშუალება მოგვცა დაგვეხუსტებინა ამ მხარის გეოლოგიის ზოგი საკითხი და, მთა შორის, კვაისის რაიონის ტექტონიკაც.

კვაისის რაიონის სახელწოდებით ორი უბანი იგულისხმება: საკუთრივ კვაისის უბანი და ნადარბაზევის უბანი.

ეს უბანები ტოპოგრაფიულად ერთმანეთისაგან გაყოფილია მდ. ნადარბაზევ-დონის ხეობით.

გეოლოგიურად მთელი რაიონი აგებულია სამი სხვადასხვა შედგრილობისა და ასაკის ნალექისაგან: ბაიოსის ვულკანოგენური წყობისგან, ზედა იურის რიფული კირქვებისაგან და ქვედა ცარცის თხელშრეებრივი კირქვებისა და მერგელებისაგან. კვაისის უბანშე ბაიოსის ვულკანოგენურ წყებაზე უთანხმოდ არიან განლაგებული ზედა იურის რიფული და მასივური კირქვები, რომლებიც მკვეთრად გამოიყოფან თავისი კლდოვანი რელიეფით. კირქვების ზოლის სიგანე ზედაპირზე საშუალოდ 60 მ უდრის. დასავლეთის მიმართულებით (მდ. კვაისა-დონის ხეობაში) კირქვები სწრაფად ისლობიან, ხოლო აღმოსავლეთით ვიწრო ზოლად ჩადიან მდ. ნადარბაზევ-დონის ხეობაში და, წინააღმდეგ გაბატონებული შეხედულებისა, უშუალოდ გრძელდებიან ნადარბაზევის რაიონშიც. კირქვების დაქანება ძირითადად ჩრდილოურია, ხოლო დაქანების კუთხე 70—85° უდრის.

კვაისის მიდამოებში (მთა კვაისა-ხოხის ჩრდილოეთით) მასივური კირქვების ჩრდილოეთით ბაიოსის ვულკანოგენურ წყებაზე და მასივური კირქვებზედაც განლაგებულია თხელშრეებრივი კირქვებისა და მერგელების თხელი დასტა. კირქვებისა და მერგელების დასტის ქვეშ ჩრდილო ნაწილში თხელი მასივური კირქვებია განლაგებული. მასივური კირქვების დაქანების კუთხე აქ 20—25° არ აღმატება, მაშინ როდესაც შრეებრივი კირქვებისა და მერგელების დაქანების კუთხე, მეტ შემთხვევაში, 10—15° უდრის. ზემოთ მოყანილი ფაქტებიდან აშკარად ჩანს შრეებრივი კირქვების უთანხმო განლაგება მასივურ კირქვებზე. კვაისა-ხოხის შრეებრივი კირქვები არც ნადარბაზევ-დონის ხეობაში და არც მდ. კვაისა-დონის ხეობაში არ ჩადის.

უშუალოდ გაშიშვილებებში ნათლად ჩანს კვაისა-ხოხის მასივური კირქვების მიწვევება ჩრდილო მიმართულებით ბაიოსის ვულკანოგენურ წყებაზე. ასეთსავე სურათს გხელავთ ნადარბაზევის მთავრობებშიც.

თხელშრეებრივი კირქვები და მათი მომყოლი ფერადი მერგელები კარგადა განვითარებული ვარეთ წოდებულ ცხანარის სინკლინში. მაგრამ ფაციალურად ისინი არ გადადიან მასივური და როტული ფაციების კირქვებში და გარკვეულად უთანხმოდ არიან განლაგებული უკანასკელებშიც. უთანხმოდ განლაგების სურათი ძალიან კარგად ჩანს გარდა კვაისის უბნისა სოფ. ფასრალოსთან და სხვა მრავალ ადგილას. სოფ. ფასრალოსთან შრეებრივი კირქვები უშუალოდა განლაგებული როგორც ბაიოსის ვულკანოგენურ წყებაზე, ისე გადარეცხილი მასივური კირქვების შრეების თანზე. შრეებრივი კირქვების ფარგების ყველები თითქმის ყველაზ გვხდება ბრექჩია-კონგლომერატი, რომლის მასალა ძირითადად მასივური კირქვებით არის წარმოდგენილი. მრავალ ადგილს (ცხანარის სინკლინის ორივე ფრთაში) შრეებრივი კირქვების, ფერადი მერგელებისა და წითელი და თეთრი ფერის მერგელებრივი კირქვების თითქმის ყველა ჰორიზონტში (განსაკუთრებით ჭვედა და ზედა ჰორიზონტებში) ნახულ იქნა საყმაოდ მდიდარი და კარგად დაცული ფაუნა, რომლის წინასწარი შესწავლაც ეს არავითარ ეკვს არ სტრომბს, რომ მათი შემცველი ნალექები ცარცის თითქმის ყველა სართულს შეიცავს. ცუდად დაცული ცარცული ფაუნა კვაისის მიდამოებშიც იქნა ნახული. გარდა ამისა, კვაისის თხელშრეებრივი კირქვები ლითოლოგიურად არაურით არ განხევდებიან ფასრალო-ცხანარის ქვედა ცარცული თხელშრეებრივი კირქვებისა და მერგელებისაგან. თუ ამას მათი განლაგების პირობებაც დაცვული გახდება, ცხალი გახდება, რომ კვაისის თხელშრეებრივი კირქვები და მერგელები ქვედა ცარცად უნდა იქნენ აღიარებული.

როგორც აღნიშნული იყო, მასივური კირქვების დაქანების კუთხე $70-85^{\circ}$ უნდა იყოს. 70° დაქანება (საშუალოდ) მათ იქვთ კვაისის მიდამოებში, ხოლო 85° -ნადარბაზევის. სიღრმეში დაქანების მიმართულებით (ჩრდილოეთისაკენ) მასივური კირქვები ბაიოსის ვულკანოგენურ წყებას იყდებიან, რაც კარგვეულად რღვევის ხაზზე მიგვითოთებს, ეს რღვევის ხაზი, რომელიც კვაისის მიდამოებში კარგად არის დაღენილი, აღმოსავლეთითაც გრძელდება და არანაკლები სიცხადით არის გამოხატული ნადარბაზევის უბანშიაც მდ. ნადარბაზევ-დონის მარჯვენა ფერობაზე. აქ რღვევის ზედაპირის დაქანება ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული; დაქანების კუთხე ცერტიკალურს უხსლოვდება. დასავლეთის მიმართულებით რღვევის ხაზი მთელ კვაისის უბანზე გაიღლის. უფრო დასავლეთით, უკვე მდ. ჯეჯორის მარჯვენა მხარეზე, ამ რღვევის ხაზში, ჩვენი დაკვირვებით, სოფ. ჩასაფლზე უნდა გაიაროს და აქვთ უნდა შეუერთდეს ჩვენ მიერ დადგენილ ველუანთის ზოლის მასივური კირქვების რღვევის ზოლს. აქაც ნათლად ჩანს მასივური კირქვების მიწყვეტი ჩრდილოეთის მიმართულებით ბაიოსის ვულკანოგენურ წყებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ რღვევის ხაზი სქელი ნაყარის გამო უშუალოდ არ ჩანს.

ზემოთ მოყვანილი ფაქტებიდან შეიძლება დაყასკვნათ, რომ აქ საქმე გვაქვს არა ნასხლეტთან, არამედ შესხლეტასთან და რომ ეს მოძრაობა მიმარ-

თულია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ე. ი. აწელილი არის ბაიოსის ვულკანოგენური წყება, მასათა ასეთი მოძრაობა კარგად ეგუება აქ გაბატონებულ რეგიონალურ ტექტონიკურ მოძრაობებს.

შესხელების ვერტიკალური ამპლიტუდა შესწავლილ ფართობზე 150—350 მეტრის ფარგლებში იცვლება; დასავლეთისაკენ ის კლებულობს, ხოლო აღმოსავლეთისაკენ მატულობს. კვაისის უბანზე 200—250 მეტრს უნდა უდრიდეს. საერთოდ ყოველ კრძო შემთხვევაში მისი დაზუსტებაა საჭირო.

მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ, ჩვენი დაკირვებით, ამ შესხელებაში არც კვაისის და არც ჩასავალ-ფასრალოს ცარცული ისაკის შეკებრივი კირქვები და მერგელები მონაწილეობას არ იღებენ და შესხელეტის სიბრტყეს ფარავენ. ზოგიერთ გამიშვლებაში, მართალია, ჩანს შრეებრივი კირქვებისა და მერგელების აშშუშვნა და წამოყირავება, მაგრამ ეს მოვლენა უკვე ცარცუებისას გამოიყენება ტექტონიკურ მოძრაობების შედეგი უნდა იყოს. მმრიცვად, შესხელეტა ჭველა ცარცუები დარინდელი გამოდის და იგი ანდრუ როკფაზის უნდა დაუუკავშიროთ. თუ ამას სარწმუნოდ მივიწნევთ, მაშინ ისიც უნდა დავასკენათ, რომ ანდრუ როკფაზის იქ საკმაოდ ძლიერი ყოფილა.

დაკირვება ვეიჩენებს, რომ მასივური კირქვების დაშრების ზედაპირიც აშლილობის ზედაპირს უნდა წარმოადგენდეს, ე. ი. ამ ზედაპირის გასწროვაც ხდებოდა მასათა (მასივური კირქვების) გადაადგილება ჩრდილოეთიდან სამხრეთის მიმართულებით. ეს მოძრაობა-შეცოცება, ჩვენი წარმოადგენით, დაკავშირებული უნდა იყოს ზემოთ აღწერილ შესხელეტასთან. მმრიცვად, აქ დამოუკიდებელი ნასხლეტი კი არ ვაძეს, როგორც ადრე ფიქრობდნენ, არამედ ჩეულებრივი შეცოცება დაშრების ზედაპირის გასწვრივ. აქედან ვასაგებია, თუ რატომ ხდება მასივური კირქვების თანდათნი გამოსოლება სილრმეში.

ამრიცვად, კვაისის რაიონის ტექტონიკა წარმოდგენილი არის შესხელეტით და მასთან დაკავშირებული შეცოცებით მასივური კირქვების დაშრების დაშრების გასწვრივ.

შესხელეტის დაქანება მეტ შემთხვევაში ჩრდილოეთისაკენ არის მიმართული და დაქანების კუთხე ვერტიკალურს უახლოებება. ზაგრამ არის ადგილები, სადაც ის სამხრეთისაკენ არის დაქანებული (ზემო კვაისა). ჩვენი შეხედულებით შესხელეტის სიბრტყის დაქანების კუთხე, რომელიც ახლა ჩანს, არ არის მისი პირველდელი დაქანების კუთხე. ზემოთ უკვე იქნა აღნიშნული, რომ შესხელეტა ინდური როკფაზისის დრონდელია და ცხადია, რომ უფრო ახალგაზრდა დანაოჭების ფაზისებმა შესხელეტის სიბრტყის დაქანების კუთხეც შეცვალეს, ჩვენ შემთხვევაში გაბარტეს, და თუ გვინდა იგი ალეადგინოთ, საჭიროა მას გამოვაკლოთ ცარცის შრეების დაქანების კუთხე, რის შემდეგ დავრწმუნდებით, რომ შესხელეტის დაქანება ცველგან ჩრდილოეთისაკენ იქნება მიმართული, ხოლო დაქანების კუთხე საკმაოდ ცვალებად დარჩება (45—75°)—დასავლეთისაკენ ნაკლები, ხოლო აღმოსავლეთისაკენ მეტი. ახლა გაზრდა მოძრაობები (ცარცის შემდგომი) კარგად ჩანს უშუალოდ გაშიშვლებებშიაც. ხშირია ადგილები, სადაც მასივური კირქვები, შესხელეტილი ბაიოსის ვულკანოგენური წყება და შესხელეტის სიბრტყე გაწყვეტილი და გადად-

გილებული არიან მერიდიონალური მიმართულების ნაწევ-ნასხლეტებით. აქედან ძნელი არ არის იმის წარმოდგენაც, რომ ასეთი მოძრაობების შედეგად მასივული კირქვების სოლმა მაღლა ამოწევა განიცადოს. ამით უნდა იყოს გამოწვეული შრეებრივი კირქვების წამოყირავება და მათი დაშმუშვნა მასივური კირქვების კონტაქტთან შესხლეტის ზოლის გასწვრივ.

კვაისა-ხოხის მასივური კირქვები ახლო წარსულში უშეულოდ უნდა ყოფილიყვნენ და კავშირებული ველუანთის ზოლის კირქვებთან. მდ. ჯეჯორმა და კვაისა-დონმა ეს კავშირი შოსხეს—კირქვები წარეცხეს. აღმოსავლეთის მიმართულებით კვაისა-ხოხის მასივური კირქვები, როგორც აღნიშნული იყო, თანდათან დაბლა იწევენ და ამის გამოა, რომ ისინი მდ. ნადარბაზევ-დონის ხეობაში ჩადიან და უშეულოდ ებმიან ნადარბაზევის მასივურ კირქვებს. ამრიგად, ჩვენი დაკვირვებით, ზემოთ აღნიშნული კვაისის რაიონის აღნიშნული უბნები ერთმანეთთან ძალიან მჭიდროდ არიან დაკავშირებული და მათ არაფერი არ თავშავს.

საქართველოს სსრ მცნიერებათა აკადემია
 გეოლოგიისა და მინერალაგიის ინსტიტუტი
 თბილისი
 (რედაქციას მოუვიდა 24.8.1949)

დამოწმებული ლიტერატურა

1. ი. კახაძე და ნ. კანდელაკი. ცხანარის სინკლინის მეზოზოლური ნალექების სტრატიგრაფიისათვის. საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 2, 1943.

პალიონითოლოგია

გ. უზნაძე

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორის იმპი

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჯანელიძემ 5.7.1949)

აღმოსავლეთ საქართველოში სარმატული ნალექები როგორც ცხოველური, ისე მცენარეული ნაშთების დიდ რაოდენობას შეუცველი შრების ფაუნისტური დათარილება კი, როგორც ცნობილია, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ნამარხი მცენარეების შესწავლისათვის ცველგან, განსაკუთრებით კი ისეთ რაიონებში, სადაც ეს უკანასკნელი ან სულ შეუსწავლელი არიან, ან არასაკმარიდ შესწავლილნი, როგორც ამას ვხედავთ საქართველოში. თუ ფლორის ასაკი ფაუნისტურიდ დალგენილია, საჭირო ხდება მხოლოდ მცენარეული საფარის ხასიათის გარკვევა და შემდეგ, სხვა მეზობელ ფლორათა შესწავლისას, ეს უკვე ყოველმხრივ შესწავლილი ფლორია შეიძლება დასაყრდენად მივიჩნიოთ. სწორედ ეს გარემოება იყო იმის ნიზეზი, რომ ჩემი კვლევის საგნად სარმატული ფლორია აკარიჩი.

აღმოსავლეთ საქართველოს სარმატულ ნალექებში ნამარხი მცენარეების ნაშთები პირველად 1913 წელს იპოვა ა. რიაბინინმა. მისი კოლექცია დამუშავებული და ოღწერილია ი. ვალიბინის შრომაში [1]. 1934 წ. გამოვიდა იმავე აერორის მეორე ნაშრომი [2], სადაც მოცემულია დამატებითი მასალა აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორის შესახებ.

1946—48 წ. წ. ზაფხულების განმავლობაში საშუალება მქონდა სარმატული ფლორის საქმაოდ დიდი კოლექცია დამეგროვებინა. ეს კოლექცია დამუშავებულია ჩემ მიერ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტში და ინსტიტუტის მონოგრაფიულ მუზეუმში ინახება.

მცენარეული ნაშთების დიდი ნაწილი შეგროვილია გარე კახეთში შემდეგ ადგილებში (აქ აღნიშნავ მხოლოდ იმ ადგილებს, სადაც ნამარხი ფლორა დიდი რაოდენობით გვხვდება):

1. ხევში სოფ. საცხენისის ჩრდილოეთთ, ქვედა სარმატულ ქვიშაქვებში.

2. მდ. ნორიშულის მარჯვენა ნაპირზე, გზაზე, რომელიც ღვთაების მონასტრისაკენ მიემართება, გაშიშვლებულია შეუა სარმატული მასივი ქვიშაქვები, რომელიც შეიცავს ნამარხი ფოთლების ერთეულ ეგზემპლარებს.

3. ღვთაების მონასტრის მიდამოებში ისეთსავე შეუა სარმატულ მკერივ ქვიშაქვებში გვხვდება ფოთლები, რომლებიც გაბნეულია ქანზი თითო-ორილა აღნაბეჭდის სახით.

4. სოფ. ნორიოში საბურღავი ხსნარის დამამზადებელი ქარხნის პირდაპირ მკერივ შეუა სარმატულ ქვიშაქვებში გაბნეულია ფოთლების ერთეული აღნაბეჭდები.

5. სოფ. მუხროვანთან ტინისერის მყვრივ ქვიშაქვებში, რომელთაც თავზე ადევს შუა სარმატული ფაუნის შემცველი ლუმაშელის წყება, გაბნეულია მცენარეთა ერთეული იღნაბეჭდები.

6. გომბორის გზაზე გორგასალის ციხესთან ქვედა და შუა სარმატული მყერივი ქვიშაქვების ზოგი შრე გაესებულია ფოთლების აღნაბეჭდებით.

7. სოფ. პატარძეულში მწვ. კოტმანზე გაშიშვლებულია ქვიშაქვების სქელი დასტა, რომელსაც თავზე ადევს შუა სარმატული ფაუნის შემცველი შრები, ხოლო საგებად აქვთ ქვედა სარმატული თიხები და ქვიშაქვები. ეს ქვიშაქვები დიდი რაოდენობით შეიცავენ მცენარეულ ნაშთებს.

8. სოფ. პატარძეულშივე ფიდინაანთ ხევში გაშიშვლებულია ქვიშაქვის იგვე ზოლი და მასში აგრძოვე დიდი რაოდენობით გეხვდება ფოთლების აღნაბეჭდები.

გარდა გარე კახეთისა, მცენარეული ნაშთები ნაპოვნი და შესწავლილია სამხრეთ ოსეთიდან (ჯავის რაიონი). აქ ფლორა ნაპოვნია შემდეგ აღგილებში:

1. მდ. დიდი ლიახვის მარჯვენა შენაკადის ხეცე-დონის ხეობაში გაშიშვლებულია ქვედა სარმატული ქვიშაქვები, რომლებშიც ფლორით მეტად მდიდარი მყვრივი ქვიშაქვის შრე შემხვდა.

2. შდ. დიდი ლიახვის მარცხენა შენაკად კიმას-დონის ხეობაში იმავე ქვიშაქვის ფენში დიდი რაოდენობითა მცენარეული ნაშთები.

3. სოფ. საკირსთან ქვედა სარმატულ ქვიშაქვებში გაბნეულია თითო-ოროლა ფოთლის აღნაბეჭდი.

ამრიგად, ნამარხი ფლორა ნაპოვნია ქვედა და შუა სარმატულ ქვიშაქვებში. იგი წარმოდგენილია ფოთლების, პატარა ტოტებისა და იშვათად ნაყოფის აღნაბეჭდების სახით. ამ აღნაბეჭდების განსაზღვრის მეოხებით აღმოსავლეთ საქართველოს სარმატული ფლორის ცნობილ ფორმებს კიდევ რამდენიმე სახე დაემატა და მიღებულ სრულ სის შემდეგი სახე აქვს:

Filices ind.

Pterocarya castaneaefolia Goepp.

Phragmites oenningensis A. Br.

Juglans acuminata A. Br.

Typha latissima A. Br.

Fagus orientalis L. Sarmat.

Pinus Rjabinini Pal.

Quercus mediterranea Ung.

Salix media A. Br.

Q. pseudocastanea Goepp.

S. varians Goepp. *S. sp.*

Q. deuterogona. Ung.

Populus balsamoides Goepp.

Q. lonchitis Ung.

Myrica lignitum Ung.

Q. Sp.

M. depredita Ung.

Castanea atavia Ung.

M. salicina Ung.

Ulmus carpinoides Goepp.

M. hakaefolia Sap.

Ulm. longifolia Ung.

M. banksiaeefolia Ung.

Zelkova Ungerii Kov.

Carya bilinica Ung.

Magnolia Diana Ung.

Cinnamomum Scheuchzeri Heer.

Laurus primigenia Ung.

<i>C. polymorphum</i> Heer	<i>Acer trilobatum</i> A. Br.
<i>C. lanceolatum</i> Heer	<i>Cassia phaseolites</i> Ung.
<i>C. subrotundum</i> Heer	<i>C. lignitum</i> Ung.
<i>C. Rossmanssleri</i> Heer	<i>Sophora Berenices</i> Ung.
<i>Persea princeps</i> Heer	<i>Berchemia multinervis</i> A. Br.
<i>Apocynophyllum ibericum</i> Pal.	<i>Rhamnophyllum</i> sp.
<i>Platanus aceroides</i> Goep.	<i>Rhododendron</i> sp.
<i>Diospyros brachysepala</i> A. Br.	<i>Folium Ind¹.</i>
<i>Sapindus Ungeri</i> Ett.	<i>Folium Ind².</i>
<i>S. undulatus</i> Heer	

მცენარეთა ამ სის თუ გადახვედროვთ, რომ მათ შორის გვხვდება ერთი გვიმრაჩაირი, ერთი—წიწვიანი და ორი—ერთლებნიანი მცენარის წარმომადგენელი. დანარჩენი სახეები კი ორლებნიან ხისა და ბუჩქის ჯიშებს ეკუთვნიან. მათ შორის გვხვდება ორგორც სუბტროპიკული მარადმწვანე მცენარეები, მაგალითად: *Myrica lignitum* Uug., *M. deperdita* Ung., *M. salicina* Ung., *M. hakaefolia* Sap., *M. banksiaeefolia* Ung., *Magnolia Dianae* Ung., *Laurus primigenia* Ung., *Cinnamomum Scheuchzeri* Heer., *C. poymorphum* Heer., *C. lanceolatum* Heer, *C. subrotundum* Heer, *Satindus ungerii* Ett., *S. undulatus* Heer, *Cassia phaseolites* Ung., *C. lignitum* Ung., ისე ცვენადფოთლოვანი ფლორის წარმომადგენლები, ორმეტაც ცველა დანარჩენი სხვ ეკუთვნის.

უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა აღგილსაბოვებლები მცენარეთა სახეობბრივი შედგენილობის მიხედვით არ განსხვავდებიან ერთმიერობისაგან, მაგრამ განსხვავება ცვენადფოთლოვანი ელემენტების მეტ-ნაკლებობის მხრივ საკმაოდ მკვეთრად მოჩანს. ეს განსხვავება შემდეგში მდგრადრებს: იქ, სადაც ფლორის შემცველა ქანები გაესხვულია მცენარეული ნაშებით, ფლორის ძირითად მასას გარე კახეთში *Ulmus carpinoides* Goep. და *Ulmus longifolia* Ung ქვენან, სამხრეთ ოსეთში კი *Quercus*-ის სხვადასხვა ცვენადფოთლოვანი სახეები. მარადმწვანე *Cinnamomum*, *Laurus* და *Myrica* კი გვხვდება თითო-ორიოდა ძინაბეჭდის სახით. იქ კი, სადაც ფოთლები განპნეულია შემცველ ქანში, უფრო ხშირია ტყავისებურ მარადმწვანე მცენარეთა ჯიშები. ეს მოვლენა ადვილი ისახსნელია. თუ მხედველობაში შივილებთ მარადმწვანე ფოთლების ტყავისებურ ტექსტურას. იქ, სადაც ერთეული ფოთლების ძინაბეჭდები გვხვდება, ეს ფოთლები შემთხვევითა შემოტანილი დალექვის აუზში და, რა თქმა უნდა, მანძილს, ორმეტაც მარადმწვანე სქელი ფოთლის მასა გადატანის დროს გაუქცევებდა, თხელი ცვენადფოთლოვანი ტიპის ფოთლობი ვერ აიტანდა. იქ კი, სადაც ქანი საგსეა ფოთლების ნაშებით, მცენარეთა ამ ნაწილებს დიდი მანძილის გავლა არ დასჭარებით და ცვენადფოთლოვანი ნაში აგებულების ფოთლები და ტყავისებური მარადმწვანე ფოთლები განამარხებულან ისეთივე შეფარდებით, როგორშიც ბუნებაში გვხვდებოდნენ. აი რატომ არის, რომ მცენარეთა ნაწილებით საგსე ქანში ფლორის ძირითად მასას ცვენადფოთლოვანი ელემენტები შეადგენენ.

თუ ეს ასეა, მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში სარმატული დროისათვის უკვე გაბატონებული ყოფილი ცვენადფოთლოვანი ფლორა, რომელსაც ჯერ მთლიანად ვერ გაუდევნია სუბტროპიკული ელემენტები, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ამ ბრძოლაში იგი უკვე გამარჯვებულია და სუბტროპიკულ ელემენტებს მხოლოდ დამორჩილებული რაოდენობით ვხედებით გაბატონებულ ცვენადფოთლოვან სარმატულ ტყეში.

ამრიგად, საქართველოში ცვენადფოთლოვანი ფლორის დრო სარმატულზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს და ჩვენ წინაშე ისმება ამ დროის დაზუსტების საკითხი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 5.10.1949)

დამოუკიდებლი ლიტერატურა

1. И. В. Палибин. Сарматская флора Восточной Грузии. Материалы ЦНИГРИ, Палеонтология и стратиграфия, сборник 1, Ленинград-Москва-Новосибирск, 1933,
2. И. В. Палибин. Палеоботанические материалы из Восточной Грузии. Труды Нефтяного Геологоразведочного Института. Палеоботанический сборник, выпуск 1, Ленинград-Москва-Новосибирск, 1934.

ზოოლოგია

ჭ. რეპ

აბლაბულიანი ტკიპების რიცხობრივის ღირსმიბის დამაპირობებილი
ფაქტორების შესახებ

(ჭარმალევინა აკადემიის ნამდევილმა წევრმა ჭ. ზაიცევმა 23.5.1949).

ჩემმა მრავალწლიურმა დაქვირვებებმა აბლაბულიან ტკიპებზე (*Tetranychidae*) ქ. თბილისის ნარგავებზე ნათელყო, რომ ზაფხულის განმავლობაში ამ ცხოველთა რაოდენობა ძლიერ მეტყობას განიცდის. ივლისში ან აგვისტოში, როდესაც ამინდის პირობები თითქვს ხელსაყრელია გამრავლებისათვის, ტკიპებს ემწენებათ დეპრესია, რომელიც უპირველს ყოვლისა კვერცხების რაოდენობის შემცირებაში გამოიხატება. ამ დროისათვის ხეების უმრავლესობას, რომლებიც შეტაც არიან დაზიანებული ტკიპებისაგან და ზოგჯერ გვალვისაგანც, თითქმის ყველა ფოთოლი სცვივა და მათზე აკარინოზის დაღვენა შეიძლება მხოლოდ მკედარი კოლონიების ნაჩენების ნახენთ — აბლაბულით, გამოცვლილ კანის ფერფლით და კვერცხის ცარიელი ნაჭუჭებით. შემოღომით ასეთი ხეები შესაძლებელია კვლავ შეიფათლოს და მაშინ ტკიპების მოსახლეობა მათზე თანდათანობით იზრდება, სანამ არ აცივდება. ასეთი მოვლენა ბშირია *Schizotetranychus telarius* (L.)-სათვის ცაცხვზე, *Sch. aceri* Reck-სათვის ამერიკულ თელაზე და *Tetranychus* sp.-თვის აკაკის ხეზე. აკარინოზი არათიანადრაა განაწილებული არა მარტო ქალაქის სხვადასხვა ნაწილში, არამედ მეზობელ ქუჩებში და ერთმანეთის ახლოს დარგულ ერთი სახეობის ხეებზედაც. ნათქვამი დასტურდება უიუილაშვილის [4] დაქვირვებითაც.

დღემდის აბლაბულიანი ტკიპების რაოდენობის ყოველგვარ ცვლას მკვლევრების უმრავლესობა მეტეოროლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით ხსნიდა. დაშვებული იყო, რომ ერთგვარი გავლენა ჰქონდა აგრეთვე მტაცებლებს. ასეთი თვალსაზრისი ვერ ასნიდა მოვლენათა უმრავლესობას, რომლებიც ტკიპების ცხოვრებაში ხდება, ამირომ აქ ლაპარაკი გვექნება იმაზე, რომ არსებობს საფუძველი იმ ჰიპოზისათვის, რომ საკმაო როლს თამაშობს ტკიპისა და საკვები მცენარის ურთიერთობაშიდან.

ჭინამდებარე ნაშრომის დასკვნები, რა თქმა უნდა, საჭიროებს დაზუსტებას და მომავალში დადასტურებას. ამ ნაშრომის გამოქვეყნება, მე მგონია, დროულია, ვინაიდან პრაქტიკული შესაძლებლობები იშლება საკითხის ახლებურად გაშუქებასთან დაკავშირებით. თუ აქამდე მიღებული ძეველი „მეტეოროლოგიური“ თვალსაზრისი ბუნებაში მომხდარი მოვლენების ერთგვარ გაშუქებას იძლეოდა, ამავე დროს ახდენდა დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხების

დეზორინგტირებას. კერძოდ შეიძლება დაშვებულ იქნეს, რომ გამანადგურებელი საშუალებები (გოვირდის პრეპარატების შეფრქვევა და სხვა) ბევრ შემთხვევაში შეიძლება ჩატარებულიყო ტეიპების დეპრესიის მომენტში და აერინოზის დაცვა მაშინ ასანილი ყოფილიყო მხოლოდ ამ ღონისძიებათა ეფექტურობით. აյ მოხსენებული თვალსაზრისი არა მარტო ხსნის მოვლენათა მთელ წყებას, რომელიც მანამდე გაუგებარი იყო, არამედ ერთდროულად იძლევა ორინტაციას მათ გააზრებით მართვაში.

ნავარაუდევია, რომ აგრძოტექნიკური საშუალებებით (რეგულარული რწყვა, სათანადო შედგენილობის სასუქების შეტანა და სხვა) შესაძლებელი გახდება უზრუნველყოფა მცენარის ისეთი მდგომარეობისა, როდესაც მცენარეზე აბლაბულიანი ტკიბის არსებობა სრულიად შეუძლებელი, ანდა არახელსაყრელი იქნება. მოცემულია აგრეთვე ზოგიერთი მოსაზრება აკარინოზის მიმართ არამერინობიარე მცენარეების გამოყვანისათვის.

„მცენარე, ცხოველი, ყოველი უჯრედი თავისი სიცოცხლის ყოველ წამში გაიგოვებული არიან თავის თავთან და ამავე დროს განსხვავდებიან თავის თავისიგან... დაუსრულებელ მოლეკულარულ ცვალებადობათა გამო, რომელიც სიცოცხლეს შეადგენენ და რომელთა ჯამი აქვარია გამოსცვივის სიცოცხლის სხვადასხვა ფაზაში... რაც უფრო მეტად ვითარდება ფიზიოლოგია, მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისთვის ეს უწყვეტი, დაუსრულებლად მცირე ცვლილებები, აგრეთვე მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება მისთვის იგივეობის ფრაგმებში არსებულ განსხვავებათა განხილვა, და იგივეობის შესახებ ძელი, აბსტრაქტული, ფირმალური თვალსაზრისი, რომლის თანახმად ორგანული არსება განიხილება როგორც თავისი თავის რაღაც უბრალო იგივეობა, რაღაც მუდმივი, დაძველებულად გვევლინება“ [10].

აკადემიკოსი ტ. ლისენ კო, გამოდის რა დებულებებადან, რომლებიც და რეიინისა და მიჩურინის კლასიკური ნაშრომებიდან გამომდინარეობენ, მცენარეულ ორგანიზმებში გენეტურად სხვადასხვაგვარი ქსოვილების თანაპონიტერებაზე მიუთიობს. გლუშენ კოს აზრით, რაც უფრო მეტად ბერდება ორგანიზმი, ან რაც უფრო მკვეთრად განსხვავებულ პირობებში ვითარდება ის თავისი ონტოგნეზის პროცესში, მით უფრო მეტად დაიფერენციაციას განიცდის ხარისხობრივად მისი ორგანობი და უჯრედები. აბრეშუმის ჭის მაგალითზე კარენ კერმ გვიჩვნა, რომ ფურცლის მკებავი ლირსება გამოიხატება არა მარტო ერთია და იმავე მცენარის სხვადასხვა ნაწილის ზრდადი მდგომარეობით, არამედ მთლიანი მცენარის ზრდადი მდგომარეობით. დადგომარენი მდგრებების ტენიანობის ზრდა აუკენებს მცენარის დაბერებას; ფოსფორმენავა კვების გაძლიერებით შეიძლება დაჩქარდეს მცენარის დაბერება.

ერთიასა და იმავე მცენარის ფოთლების ფიზიოლოგიურ არათანაბარობაზე პირველად მითიოებული იყო ზალენსკის მიერ 1904 წ. ამ მცენიერის შრომებიდან ირკვევა, რომ რაც უფრო ზევითაც ფოთოლი ყლორტზე, მით უფრო მცირეა მეზოფილის უჯრედებისა და ეპიდერმისის, აგრეთვე ფოთ-

ლის სხვა წარმომქმნელი უჯრედების სიდიდე; ზევით მყოფი ფოთლები უფრო ღიდ ისმოსურ წევეს განიცდიან.; ყუნწიდან დაკილებული ფოთლის ზედა ნაწილებიც კა უფრო ძლიერ ისმოსურ წევეს განიცდიან. რიგ სხვა ოს ფიზილოგთა მიერ ნაჩვენებია, რომ ერთისა და იმავე მცენარის სხვადასხვა იარსების ფოთლების წყლის რეკიმიც ერთგვაროვანი არაა, აგრეთვე არაერთგვაროვანია ნახშირორეანგის ასიმილაცია, ქიმიური შედგენილობა და სხვა მაჩვენებლები.

გვალვიან პირობებში, სახამბლოვანი ფოთლების დაჭინობისას, უპირველეს ყოვლის ხდება რთული ნახშირწყლების ჰიდროლიზი; წყლის დაკარგვა მკეთრად მოქმედებს აზოტოვან ნივთიერებათა ცვლაზე და ამავე დროს აზოგაზრდა ორგანობში ცილოვნი ნივთერების დაშლის პროცესი ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს, ვიდრე ზერგებში.

ა. ბლაგოვეზენსკი და მისი თანამშრომლები [2] საღი და ძარინოზული ბამბის ბუჩქის ნარგავების შედარებით შესწავლის შედეგად მივიღენ იმ დასკვამდე, რომ დაზიანებულ ფოთლებში მცირდება წყლის შემცველობა. ფოტოსინთეზი მკეთრად ეცემა და ძლიერდება სუნთქვის პროცესები; გარდა ამისა, მცირდება ნახშირწყლებისა და აზოტოვანი ნივთიერებების რაოდენობა, რასაც თან სდევს საერთო ნახშირწყლის მომატება საერთო აზოტის მიმართ და ძლიერდება ისმოსური წევე.

აბლაბუდიანი ტკიპები კვების დროს ფოთლლს ჩხვლეტენ არი ხელიცარული სტილეტით, რომლებსაც დახურული მიღი არა აქვთ, ნახვრეტის ჰერშეტიზაციისათვის არავითარი მოწყობილობა არა აქვთ. საკვები წევების მიღება ხდება, როგორც ჩანს, მხოლოდ გაბილარობისა და დასველების მეოხებით. ამიტომ ტკიპების კვებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ქსოვილის იარაში წევები ბლობად მოქნავდეს. დაბშული ნაწლავის გამო ტკიპები იძულებული არიან შეითვისონ მიღებული საქმელი მთლიანად, ასიმილირებული მკეცებავი ნივთიერების რეგულაცია მათ არ შეუძლიათ. გეტერეზის (მასპინძელი მცენარეების შეცვლა) სპეციალური მოწყობილობები არა აქვთ, თუმცა ცნობილია, რომ *Tetranychus urticae* C. L. Koch მისთვის ხელსაყრელ პირობებს ცალკეულ ჰერთოდებში სხვადასხვა სახეობის მცენარეებზე პოლობს. ნათევამიდან გამომდინარეობს, რომ აბლაბუდიანი ტკიპების შეგუება მცენარეებზე საკვებად მეტად პრიმიტიულ ხასიათს ატარებს და ტკიპები ძლიერ უნდა იყვნენ დამოკიდებული კვების პირობებში.

ლიტერატურაში, რომელიც ფირთოდ ეხება *T. urticae*-ს ჰიგროთერმულ რეების, არის მნიშვნელოვანი წინააღმდეგობანი, რაც აიძულებს ზოგ მკელევას გამოთქვას აზრი გეოგრაფიული ფორმების არსებობის შესაძლებლობის ან სხვადასხვა სახეობის არსებობის შესახებაც. სტეპან ცეცისა და კოსო მიერ დაშვებულია, რომ ტკიპებისათვის დადგნილი ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის ხელსაყრელი კომბინაცია შესაძლოა ერთადერთი არ იყოს და სავსებით შესაძლებელია ამ არი ფაქტორის სხვადასხვა ხელსაყრელი შეხამება. კოსო ბუკი [5] ამას ასე სხსის: „სხვადასხვა ეკოლოგიურ სტაციებში აბლაბუდიანი ტკიპების ტემპერატურული რეკიმი სხვადასხვა და სხვადასხვა შეიძლება და მისი განვითარების დინამიკაც“. ჰაერის ტემპერატურისა და მისი

ტენიანობის უშუალო მოქმედების ტკიბზე მკელევართა უშრავლესობა წამყვან როლს მიაწერს და მხოლოდ ამ ორ ფაქტორზე დაყრდნობით ცდილობენ პროგნოზისა და ბაზის მეურნეობის აქარინოზის დარაიონების საკითხის პრაქტიკულად გადაწყვეტას. მაგრამ ტკიბის მოქმედება ბუნებაში ყოველთვის არ თავსდება მისთვის გამომუშავებული პროგნოზების, ფორმულების და მრუდების ჩარჩოებში. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ კოსმობუკის [5] მასში, რომ ეს ფორმულები შექმნიურადაა გამოგონილი, ხოლო მრუდები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ კერძო შემთხვევებში. ამ საკმაოდ ხელოვნურ მოსაზრებათა ძირითადი შეცდომა უდავოდ ის არის, რომ ისინი გამომდინარეობენ იქიდან, რომ არსებობს „მუღმივი თანაფარდობა დაქვემდებარებულ ობიექტს შორის“. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეჭვს გარეშეა, რომ ამინდის პირობები ძლიერ მნიშვნელოვანი ფაქტორია აბლაციური ტკიბების გამრავლებისათვის და რომ ისინი დროის გარევეულ მონაკვეთებში მართლაც საზღვრავენ მათ დინამიკას. ამ დებულების შედარებით ობიექტურ და ზუსტ დასაბუთებას წარმოადგენს ვასერის [3] შრომები. თუკი ლიტერატურაში არსებობს წინააღმდეგობანი იმ ფაქტორების შესახებ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვდასხვა სეზონში მათთვის ხვედრითი მნიშვნელობა იცვლება და შეიძლება ტკიბების ცხოვრებაში ცალკეულ სეზონებში წამყვანი გახდენ სხვა ფაქტორები, უპირველეს ყოვლისა კვების ფაქტორი, რომელიც პირობადებულია საკვები მცენარის ფიზიოლოგიური მდგრადრეობით.

ყველაზე უფრო დამარტინუნებული არგუმენტი ამინდის ფაქტორების შესაძლებელი დაქვემდებარებითი მნიშვნელობის სასარგელოდ არის აქარინოზის დეპრესიის ხშირი მოვლენა იმ დროს, როდესაც ამინდის პირობები ხელსაყრელია ტკიბების გამრავლებისათვის. ზაფხულის ასეთი დეპრესიები („ბიციკლური დინამიკა“), რომელიც მტაცებლების აქტივაციას არ უძღვის წინ, ხშირად იყო კონსტატირებული *Tetranychus urticae* C. L. Koch-სთვის ბამბის ბუნების ფაქტები საბჭოთა კავშირის სამხრეთ რაიონებში [5,8 და სხვა], *Metatetranychus citri* (McG.) ციტრუსოვნებისათვის საქართველოში [1] და ჩრდ. ამერიკაში [11], აგრეთვე აბლაციური ტკიბების სხვა სახეობებისათვის. ზაფხულის დეპრესიის მატებები გაბაგები გახდება, თუკი მივიღებთ მხედველობაში საკვები მცენარეების ფოთლების ფიზიოლოგიურ ცვლილებებს, რომელიც იცყვება გვალვასთან, ფოთლების სიბერესთან, მაცნებლებით დაზიანებასთან და სხვა მიზეზებთან დაკავშირებით. მეტეოროლოგიური ფაქტორები ამ დროს ტკიბების დინამიკაზე იმდენად უშუალო მოქმედებას კი არ ახდენს, რამდენადაც არაპირდაპირს, საკვები მცენარის მდგრმარეობის მეოხებით. *M. citri*-ს მიმართ ასეთსაცე დასკვნამდე მიდის მათია შევის [1]: „ტკიბების ბალანსზე ჰიგროთერმული ოპტიმალური პირობების დროს გარევეულ გავლენას ახდენს კვების რეაქციას (ფოთლის ხარისხი) და ნალექები წვიმის სახით, როგორც უშუალოდ, ისე არაპირდაპირ, საკვების ხარისხის გაუმჯობესების გზით“. კვების პირობებშე დამოკიდებული გამრავლების ტკიბების შესახებ დამარტინუნებლად მოწმობს *T. urticae*-ს სხვდასხვა მცენარეებზე კვების შეკის [9] ცდები. მიღებული იყო ერთი მდებრის მიერ სხვადასხვა მცენარეზე დადებული კვერცხების შემდეგი საშუალო რაოდენობანი:

ლობიო 53	ბამბა „Neade“ 114
ხეართქლა 30	„2034“ 107
ია 17	„ფუადი 181“ 61
ბამბა „915“ 158	„გიზე 7“ 37
„ნავროცკი“ 122	„მაბად“ 24

ასეთივე ცდების დროს მდედრის სიცოცხლის ხანგრძლიობა დღეებით საშუალოდ იყო: სამყურაზე — 13, ხეართქლაზე — 6, ბამბაზე „მაბად“ — 8 და ბამბაზე „915“ — 37. ბოლოს, კოსობუცკის [5] ცდებიდან *T. urticae*-ს სხვადასხვა მცენარეზე კეცების დროს, მათ შორის 16 ჯიშის ბამბაზე, იგრეთვე გამომდინარეობს, რომ ტყიაბის გამრავლების ტემპები ძლიერ მერყეობს მცენარის კვებით ღირებულებასთან დაკავშირებით.

მე ვფქვრობ, რომ ტემპერატურისა და ტენიანობის უშუალო ზემოქმედებით არ შეიძლება აისნას აკარინოზის კერძობრივი წასათი პატრია ერთგვაროვანი ნაკვეთის ფარგლებშიაც კი, სადაც ამ ფაქტორთა გადახრები არ აღწევნ იმ საჭლერებს, რომლებიც საჭიროა ტყიაბის გამრავლების ტემპების დარღვევისათვის. სტეპანცვეისა და კოსობუცკის [7] მიხედვით *T. urticae*-სათვის ხელისშემწყობი ზონის სახლოები მდებარეობს 25° — 29° ტემპერატურასა და 40% — 52% ტენიანობას შორის, ამ სახეობის საქმიად ფართო კლიმატური შეგუების უნარის შესახებ ლაპარაკობს მისი კოსმოპოლიტური გავრცელება. პატარა ტერიტორიაზე ტყიაბის არათანაბარი გავრცელება შეიძლება აისნას მცენარეთა სხვადასხვაგარი მდგომარეობით, რაც პირობადებულია არა მარტო მიკროკლიმატური ფაქტორებით, არამედ ნიადაგის ნაყოფიერებასა და მის სინოტივეს შორის სხვადასითაც. ქურდიანი და ათაბეგოვი კიდევ 1912 წ. გვაცნობებენ, რომ ბამბის ბუჩქის აკარინოზი სასომხეთში ძლიერ გამოფიტულ ნიადაგებზე ჩნდება კარბი რწყვის დროს. ბამბის ბუჩქის ტყიაბით დაზიანებათა ტიპობრივობა დამკიდებულია ნიადაგის სინოტივეზე. როდესაც ნიადაგს რწყვა აკლია, ტყიაბი სახლდება ფოთლის პერიფერიაზე, მის ნაპირებზე, სადაც ძლიათ შესაცერისი პირობებია [6]. სტეპანცვეი და კოსობუცკი [7] ფიქრობენ, რომ შეა აზის ბამბის ბუჩქის აკარინოზი მაღალი ტემპერატურის დროს პირობადებულია კარბი რწყვით და ტყიაბით ძლიერ დასწოვნებული ნაკვეთები ლოკალიზებულია რწყვის შემდეგ დარჩენილ წყლიან ადგილებში; საქმიად ნოტიო წლებში ტყიაბი, როგორც ჩანს, უფრო მშრალ ადგილებს არჩევს. იგივე ავტორები წყლის როლის ასსისას აკარინოზის სტიმულაციაში უშვებენ, რომ „ზედმეტი რწყვა ქმნის ბამბის ბუჩქის განსაკუთრებულ ვეგეტაციურ ფოთლის ტიპს—ნაზი, ფაშარი ქსოვილით, რომელსაც, როგორც ჩანს, უპირატესობას აძლევენ ტყიაბი“.

ბამბის ნარგავების პირობებში *T. urticae* ძლევ გაზაფხულზე უფრო ქვედა და იარუსებში იმყოფება და მისი ძირითადი მისა სარეველებზე ცხოვრობს. უფრო გვიან ტყიაბი გადადის ბამბაზე, იწყებს მოძრაობას ზევით და შემდგომაზე, ახდენს გადაადგილებას ისევ უკან. კოსობუცკი [5] ამ გადაადგილებათა ძირითად მიზნად თვლის იარუსებში პიგროთერმული პირობების

არსებობას. აქ აკტორს შესაფერის პირობად, მიაჩნია ის პირობები, რომელთა დროსაც შემჩნეული იყო ტკიპების დიდი რაოდენობა, და ამის მიხედვით ადგენს ტემპერატურისა და ტენიანობის შემდეგ ოპტიმუმს სხვადასხვა მცენარეზე:

წლები	1936			1938		
მცენარეები	ბამბა	სიმინ.	თუთა	ბამბა	აკაცია	კაკალი
ტემპერატურა °C	29,8	30,1	26,9	30,0	31,3	29,0
ტენიანობა %	40,3	52,2	46,4	42,0	51,2	49,4

შიერკულიმატურ მაჩვენებლებში მოყვანილ გადახრებს ტკიპების მაქსიმალური რიცხობრივობის იარუსებისათვის კოსობუცი [5] იმით ხსნის, რომ „აბლაციურიანი ტკიპების ტემპერატურული რეჟიმი სხვადასხვა იარუსში ვერ-ტიყალურიდ სხვადასხვაა“.

მე ვფიქრობ, რომ ბამბის ბუჩქზე და სხვა მცენარეებზე ტკიპის ვერტიკალური გადაადგილება, ყოველ შემთხვევაში ზაფხულობით, არ შეიძლება იყოს გამოწვეული პატარა ჰიპოროტემული მაჩვენებლების გადახრებით ვერტიკალებში. მაგრა გადაადგილებათა ძირითადი მიზეზი ისევ ფოთლების ფაზიოლოგიური მდგრამიარეობა, რომელიც განსაზღვრული მისა ასაკით, ტკიპის მიერ დაზიანებით, მისი „ჭარბდასახსლებით“, ამინდის პირობებითა და სხვა ფაქტორებით. ამავე დასკვნამდე იძლებული გახდა მისულიყო სტეპანცევი [6]. გამოთქმული დებულების პირდაპირ დასაბუთებას წარმოადგენს Henderson-ისა და Halloway [11]-ის მონაცემები. ეს მკვლევრები *M. citri*-ს მდედრებს კვებავდნენ ფორთონელის სხვადასხვა ასაკის ფოთლებზე და მიუთითებენ, რომ უფრო ახალგაზრდა ფოთლებზე ტკიპის ნაყოფიერება უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ბებრებზე. იმავე მკვლევაორთა ცდებით მდედრების კვების დროს ტკიპებით დაზიანებულ და ჯანმრთელ ფოთლებზე იყო დადგენილი, რომ პირველებზე გაცილებით ნაკლები კვერცხის დება იყო შემჩნეული, ვიდრე მეორეებზე.

აბლაციურიანი ტკიპების ბალანსის რეცულაციაში მტაცებლების მნიშვნელობა ნაჩვენები იყო ჯერ კიდევ ვასილი იმიერ 1910 წ., ზაიცევის იმიერ 1912 წ. და შემდევ ბევრი სხვა მკვლევრის მიერაც. ლიტერატურაში არსებობს განმეორებითი მითითებები იმაზე, რომ ინსექტიდების (დაღ) ხმარების შემდევ, რომლებიც სპონენ მტაცებლებს, ხოლო არ მოქმედებენ ტკიპების კვერცხებზე, საზოვადოდ შემჩნეულია იკარინობის ზრდა (Leary etc., 1946). არსებული მონაცემებიდან გამოდინარე, მე მაინც იმ პზრის ვარ, რომ მტაცებლებს დიდი პრატეტიკული შნიშვნელობა არ აქვთ ტკიპების გამრავლებისათვის სხვა ხელსაყრელი პირობების არსებობის დროს. მტაცებლები საქმაოდ ეფექტურნი არიან ტკიპების დეპრესიების დროს და მაშინ მართლაც შეუძლიათ მათი სრული მოსპობა.

ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე მე მივღივარ შემდევ დასკვნებამდე:

1. გამრავლებისათვის ხელსაყრელი პირობების დროს დეპრესიები წარმოადგენებ ფართოდ გავრცელებულ მოვლენას და *Tetranychus urticae* C. L Koch-ს გარდა ცნობილია აგრეთვე აბლაბულიანი ტკიპების სხვა სახეობებისათვისაც.

2. აკარინზის სეზონური დინამიკა, გარდა უშუალო მეტეოროლოგიური მოქმედებისა და მტაცებლების მოქმედებისა, პირობადებულია საკვები მცენარეების ფიზიოლოგიური მდგომარეობითაც, მეტეოროლოგიური ფაქტორები აპირობებენ აკარინზის დინამიკას საკვებ მცენარეზე თავისი ზემოქმედებით.

3. ზაფხულის განმავლობაში აკარინზის ვერტიკალური გადაადგილება პირობადებულია ძირითადად ფოთლის ფაზიოლოგიურ-ბიოქიმიური არაერთგვაროვნობით სხვადასხვა იარღვშით.

4. აბლაბულიანი ტკიპების რიცხობრიობის დინამიკის კანონზომიერების შესწავლა, უშუალო მეტეოროლოგიური ზემოქმედებისა და მტაცებლების მოქმედების შემდგომ დაზუსტებასთან ერთად, საჭიროა მიმართული იყოს ტკიპისა და მისი საკვები მცენარის ურთიერთხმოქმედების გამორკვევისაკენ. ეს ურთიერთხმოქმედებანი შეიძლება გაგებულ იქნეს მაშინ, როდესაც მცენარე გასინჯული იქნება მისი ფოთლების ფიზიოლოგიურ-ბიოქიმიური დიფერენციაციის სეზონებისა და იარსებში განვითარების სტადიების მიხედვით, ასაკის მდგომარეობისა და გარეშე ფაქტორების ზემოქმედებათა ასპექტებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 24.5.1949)

დამოწმებული ლიტერატურა

- ი. ბათიაშვილი. ზოგიერთი ვკოლოგიური ფაქტორის როლის შესწავლისათვის ციტრუსოვანთა ტკიპის (*Paratetranychus pilosus* Can. et. Fanz.) გამზავლების საქმეში. საქართველოს ბერიას სახ. სახ.-სამ. ინსტ-ის მთამბე, № 1, 1940.
- А. В. Благовещенский, В. А. Боголюбова и Н. И. Соседов. К физиологии хлопчатника, пораженного паутинным клещиком. Тр. НИХИ, вып. 23, 1931.
- Р. Э. Вассер. К вопросу о влиянии климатических факторов на развитие паутинного клеща. Защита раст., № 17, 1938.
- ი. ეკიფილაშვილი. ანგარიში ცაცხვის აბლაბულიანი ტკიპებზე ჩატარებული მუშაობის შესახებ—1948. (ნებანაშვილი, საქ. სსრ მეცნ. აკად. ზოოლოგიის ინსტიტუტში).
- М. И. Коособуцкий. Эколого-экономическое обоснование элементов системы мероприятий в борьбе с хлопковым паутинным клещиком. Диссертация на соискание ученоей степени доктора с.-х. наук. 1939. (Рукопись в. Груз. с.-х. ин-те им. Л. П. Берия).
- И. Н. Степанцев. О типах повреждений листьев хлопчатника паутинным клещиком. Защита растений, № 1, 1935.
- И. Н. Степанцев, М. И. Коособуцкий и А. А. Любищев. Методика энтомо-фитопатологического учета. Ташкент, 1936.
- В. Я. Чилингарян. Материалы по изучению биологии и экологии паутинного клещика в условиях Азийской ССР. Ереван, 1943.
- „მთამბე“, ტ. XI, № 2, 1950

9. Г. Х. Шек. Фоль кормовых растений в размножении паутинного клещка. Итоги и-и работ ВИЭР за 1936 г., ч. II. 1937.
10. Ф. Энгельс. Диалектика природы. Москва, 1936.
11. C. F. Henderson and J. K. Halloway. Influence of leaf age and feeding injury on the citrus red mite. Journ. Econ. Entom., 35, № 5, 1942.

პარაზიტოლოგია


ნ. ჯაფარიძე

IXODIDAE-თა ოჯახის ტენიშის ახალი სახეობანი საქართველოში

(ჭარბოადინა აკადემიის ნიმუშილმა წევნები ფ. ზაფულიშვილ 16. 5. 1949)

Ixodes lagodechiensis sp. n.

მ დედრი. ზურგის ფარი გულის მოყვანილობისაა, ოდნავ შევიწროებული უკანა მხრისკენ. ფარის პუნქტირება არაა ხშირი, თანაბარია და ფარის შეულელ არეს ფარავს. ცერვიკალური ზოლები კარგიდაა გამოსახული. ფარზე მისი გარე კიდეებისაკენ შესამჩნევია სიგრძივი ნაოჭები, რომლებიც ცერვიკალური ზოლების პარალელურად მიიმართებიან; შედარებით მოკლე ნაოჭები მიიმართებიან ცერვიკალური ზოლების აღმაცერად. ცერვიკალური არეების




ნაბ. 1. მდედრი *Ixodes lagodechiensis* sp. n.

a—ზურგის ფარი; b—დაჭც—ხორთუმი დორზალური და ვენტრალური მხრიდან; d—პერიტრემა; e—I თათი; f—ანალური ზოლი; g—კოქსები.

პუნქტირება წერტილებისებრია, წვრილი და იშვიათი. ხორთუმი მოკლე, პალპები განიერი. დორზალური კორნუა სუსტადაა გამოსახული. აურიკულები პატარა გამონაზარდების სახითაა. ფორმოვანი არეები არაა ლრმა, ოვალურად წაგრძელებული ფორმის. ყველა კოქსი წიგრძელებულია; I, III და IV კოქსები შემრგვალებულ-სამკუთხოვანი ფორმისაა; II კოქსები თითქმის წრორეულობრივია;

ყველა კოქსს აქვს თითო რუდიმენტური ქაცები. ანალური ზოლი წინ შემრგვალებულია. I თათი საქმაოდ მსხვილია, ზომიერი სიგრძის, წვეროსთან კარგად გამოხატული ამონაბურცით. მისაწოვრები I თათზე პატარები, არ აღწევებნ ბრკუალების მწვერვალს. პერიტრემა მომრგვალო, აქვს ოდნავ შესამჩნევი ამონაშვერი, რომელიც მიმართულია სხეულის მუცლის მხარეზე.

მამრი. ზურგის ფარი მოგრძო ფორმის, რომელიც შუაგულისაკენ შესამჩნევად ფართოვდება; ფარი დაფარულია თანაბარი პუნქტირებით და პატარა, უფერული ბეწვებით, ხორთუმი პატარა, საქმაოდ განიერი პალპებით, რომელიც დაფარულია უფერული მოქლე ბეწვებით. ხორთუმის ფუძე ტრაპეციოდალური ფორმისაა, ოდნავ შესამჩნევი დორზალური კორნუათი; აურიკულები ჩინასახოვანი, ხიტინოვანი გამონაზარდების სახით. ყველა კოქსი მოგრძოა; I, III და IV კოქსები შემრგვალებულია; II კოქსები არათიანაბარი ოთხკუთხოვანი ფორმისაა; კოქსებს ქაცები არა აქვთ. I თათი ამონაბურცულია მწვერვალთან; I თათებზე მისაწოვრები პატარაა, არ აღწევებნ ბრკუალების მწვერვალებს. პერიტრემა მომრგვალო, ოდნავი წაგრძელებული სხეულის მუცლის მხრისაკენ.



ნახ. 2. მამრი *Ixodes lagodechiensis* sp. n.


ა—სხეულის მუცლის მხარე; ბ და ც—ხორთუმი დორზალური და ვენტრალური მხრიდან; დ—პერიტრემა; ე—I თათი; ფ—კოქსები.

ნიმუში. ზურგის ფარი დაკუთხულ-გულისებური ფორმის. მისი სიგრძე სიგანგზე მეტია, ხორთუმის ფუძე განიერი, ოთხკუთხიანი, საქმაოდ გრძელი. პალპები სქელი, არა გრძელი. ჰიპოსტრომი 2/2 მწვრთივი კბილანით. I თათი სქერპატრემას მიმართულია სხეულის მუცლის მხარეზე.

ლი, არაა გრძელი, გალერის ორგანოსთან აქვს პატარა ამონაბურცი; თათის წვერი მოკლეა; I თათის მისაწოვრები პატარები, არ აღწევები ბრჭყალების მწვერვალებს. პერიტერმა თანაბრად მომრგვალო.

განაზომები კ-ით: ზურგის ფარის სიგრძე—587, სიგანე—520; I თათის სიგრძე—260, მისი მაქსიმალური სიგანე—109.

ლარვა. ზურგის ფარი გულისებური ფორმის, ოდნავ შევიწროებული უკანა მხრისაკენ, მაქსიმალურ სიგანეს აღწევს II კუქსების გასწვრივ; ე. ი. მის პირველ ნახევარში; მისი სიგანე სიგრძეშე მეტია. ხორთუმის ფურქები ოთხკუთხოვნია პალპები სქელი, არაა გრძელი. ჰიპოსტრომი 2/2 მწვრივი კბილანით. I თათი საკ-



ნაბ. 3. ნიმუში *Ixodes lagodechensis* sp. n.

ა—ხორთუმი; ბ—ზურგის ფარი; ც—I თათი; დ—ბერიტერმა.

ლარვა: ა'—ხორთუმი; ბ'—ზურგის ფარი; ც'—I თათი.

ზორ სქელი, მწვერვალთან შესქელებული. I თათების მისაწოვრები არ აღწევები ბრჭყალების მწვერვალებს.


განაზომები ყ-ით: სხეულის სიგრძე—600, სიგანე—511; ფარისქსიგრძე—294, სიგანე—345; I თათის სიგრძე—82, სიგანე—65. აღწერილი სახეობა უახლოვდება *Ixodes crenulatus* Koch-ს.

ზურგის ფარი, I თათი, კოქსები და პალპების აგებულება ორივე სახეობას მიმსგავსებული აქვს. განსხვავებები შემდეგში მდგომარეობს: *I. crenulatus*-ს ზურგის ფარი თანაბრად და უხეშადა პუნქტირებული, ფარის გვერდებზე დანაოჭება არა აქვს; ფორმოვანი არეები მრგვალი; ანალური ზოლი წინიდან ქმნის კუთხებს; პერიტრება მომრგვალოა. მდედრისა და მამრის I-ლი კოქსები მოკლე და ძლიერი ქაცვებითაა შეიარაღებული.

გავრცელება: ლაგოდეხი (საქართველო). ტყის ზონა.

მასპინძელი: ბუ (Syrnium aluco L.).

ტიპი უნიახულია საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში.



ნახ. 4. მდედრი *Ixodes eldaricus* sp. n.

a—ზურგის ფარი; b და c—ხორთუმი დორზალური და ვერტრალური მზრიდან; d—პერიტრება; e—I თათი; f—კოქსები; g—სასქესო ხვრელი.

Ixodes eldaricus sp. n.

მდედრი. ზურგის ფარი მოგრძო ფორმისაა. ცერვიკალური ზოლები აქვს, ხოლო სუსტადაა გამოსახული; ფარი სადა, დაფარულია წვრილი წერტილოვანი პუნქტირებით, გარდა მისი წინა ნაწილისა. მთელი ფარი, გარდა მისი წინა ნაწილისა და ცერვიკალური არეებისა, დაფარულია ხშირი, გრძელი, საკმაოდ მასიური უფერული ბეწვებით. ხორთუმი გრძელი; პალპები გრძელი და საკმაოდ მსხვილი. ხორთუმის ფუძე ტრაპეციოლალური ფორმის, მსხვილი დორზალური კორნუათის; აურიკულები მსხვილი. ფორმოვანი არეები მსხვილი, არათანაბრი, მომრგვალო ფორმის. ყველა კოქსი ზედა შინაგანი ქაცვით. ტა-

ბუხები უქაცვო. I თათი გრძელი, ბოლოსკენ გამწვეტებული; მისაწოვრები არაა მსხვილი, აღწევენ ბრჭყალების მწვერვალებს. პერიტრება მომრგვალო ფორმის, ძღნავ წაგრძელებული სხეულის მუცლის მხრისაკენ. სასქესო ზვრელი მოგრძო, განლაგებულია III კოქსების გასწვრივ.

მამრი არაა ცნობილი.

გაფრცელება: შირაქი (საქართველო). ურობალახის სტეპი.

მასპინძელი: კაკაბი (*Perdix perdix L.*). ტიპი შენახულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ზოოლოგიის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 16.5.1949)

ფიზიკური განცხულება

II. გზალება

თანამიმდევრული ხატი და ფიზიკური განცხულება⁽¹⁾

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა დ. უზნაძემ 25. 11. 1949)

საკითხის დასმისათვის

თანამიმდევრული ხატის ან კვალის შედარება ფიქსირებული განწყობის ილუზიასთან სრულად ნათლად გვიჩვენებს, რომ ორივეს ერთნაირად ახასიათებს შემდეგი: ფიქსაცია, ლატენტური პერიოდი, ხანიერება და ჩაქრობის ფაზური მიმღინარეობა. როგორი ხასიათისაც უნდა იყოს ნიშანთა ეს შეხვედრა, იგი საკმარისია იმისათვის, რომ დაგვავთ კითხვა: რა არის ამის მინეზი? ხომ არ არის თანამიმდევრული ხატი და განწყობის ილუზია ერთი საერთო საფუძვლიდან ნაწარმოები მოვლენა? ვცადოთ საკითხს ექსპერიმენტულად დასაბუთებული პასუხი გავცეთ.

მეთოდი

სიბნელეში თვალის წინასწარი ადაპტაციის (15—20") შემდეგ ცდის პირს თეთრ ფონზე ეძლეოდა ერთნაირი ფერის (წითელი) და განსხვავებული მოცულობის ორი წრე: მარტინივ დიდი და მარჯვივ პატარა. სინათლის წყაროდ გამოვიყენეთ 150 -სანთლიანი ელნათურა. განათებას ვაწარმოებდით ზევიდან და საფიქსაციო აბიექტების გვერდით. გვის ხანგრძლივობა 5—6 სეკუნდას არ აღემატებოდა. ელნათურის ჩაქრობის მომენტიდან ცდის პირი ჭრილდა რჩივე აბიექტის პოზიტიურ კვალს იმავე ადგილზე, სადაც გამოიზიანებელი იყო მოთავსებული: დიდი აბიექტის მხარეს (მარტინივ) დიდ კვალს, პატარა აბიექტის მხარეს (მარჯვივ) პატარა კვალს. სანამდის ცდა ამ წესით მიმღინარეოდა, მხედველობის ველზე კვალთა განლაგება უცვლელი რჩებოდა: დიდი წითელი წრის კვალი დიდი იყო და წითელი, პატარა წითელი წრის კვალი — პატარა და წითელი. ასეთია კვალის საფიქსაციო ცდა, რომელიც საჭიროებს 10—15-ჯერ განმეორებას.

რაც შეეხება კრიტიკულ ცდის, ცდის პირი აქაც იმავე წესით კვლავ წითელი ფერის გამოიზიანებელს ლებულობდა, მაგრამ არა მოცულობით განსხვავებულს, არამედ ორ ტოლ წრეს. კრიტიკულ ცდაში ტოლი აბიექტების ექსპოზიცია ყოველთვის გრძელდებოდა მათივე კვალის ტოლად აღმამდე.

(1) მოსსერინებულია საჭართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის VIII სამეცნიერო სესიაზე 20. IV. 1949.

ვინც განწყობის კვლევის მეთოდს იცნობს, ის ნათლად დაინახავს, რომ კვალის მოქმედების შესაწყვლად უფლელად გამოყენებული გვაქვს ფიქსირებული განწყობის კლასიკური ექსპერიმენტი. საექსპერიმენტოდ ავირჩიოთ მხედველობის ორგანო, რადგან სხვა გრძნობის ორგანოებთან შედარებით ის წარმოადგენს რეცეპტორს, რომლის თანამიმდევარი ხატი ან კვალი განსაკუთრებული თვალსაჩინოებითა და ხანგრძლივობით ხასიათდება.

საფიქსაციოდ მხოლოდ წითელი ფერის წრეები გამოვიყენეთ, და ეს სრულიად საქმარისი იყო, ვინაიდან გამლიზიანებელთა სიმრავლეს ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს.

შრომაში წარმოდგენილი ფარტები მიღებულია 22 ჯანსაღი ცდის პირის ინტენსიური შესწავლის საფუძველზე.

ექსპრიმენტული მასალა

საფიქსაციო ცდების—(დიდი და პატარა ობიექტის 10-ჯერ სიმულტანური ექსპოზიციის შემდევ გადასვლა კრიტიკულ ცდაზე (ორი ტოლი წრის ექსპოზიცია) ასესგბითად ცვლის კვალის მხედველობის ველზე განლაგებას. ახლა ცდის პირი ორი ტოლი წრის კვალს კი ერთ ხედავს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, არამედ ორს, მაგრამ მოცულობით ურთიერთისაგან განსხვავებულ კვალს. ამ წყვილის არც ერთი წევრი არ არის ობიექტის შესატყვისი: კვალის მოცულობა კრიტიკული ობიექტების მოცულობას იღებატება, ხოლო საფიქსაციო ობიექტებისას ჩამორჩება. შეცვლილია იგრეთვე კვალთა განლაგება მხედველობის ველზე: ცდის პირი დიდ კვალს იმ ადგილას ხედავს, სადაც საფიქსაციო ცდებში პატარა ობიექტის კვალს ჭრეტდა, კ. ი. კვალის მოცულობა პატარა ჩანს იმ ადგილზე, სადაც დიდი ობიექტი იყო მოთავსებული. ამიტომ ის, რაც მხედველობის ველზე თვალსაჩინოდ მოცმული, რასაკვირველია, საფიქსაციო ობიექტების კვალად არ ჩათვლება. ამივე დროს არც კრიტიკული ობიექტების კვალია იგი, რადგან სუბიექტი ტოლი წრეების კვალს აღიქვამს განსხვავებული მოცულობის ხატად. ერთი რაი მაინც ნათელია: კრიტიკული ცდის მიმდინარეობამ სრულიად უდავოდ დაგვანახა, რომ კვალი იღუსორულად მოქმედებს. ეს ილუზორული, დიდი მოცულობის კვალი საფიქსაციო ცდებში ყოველთვის დიდი ობიექტის მდებარეობის საწინააღმდეგო მხარეზე თავსდება. კვალის ასეთი ასიმეტრიული მდებარეობა იმ შემთხვევაში გვაქვს, როცა დიდია განსხვავება მოცულობის მხრივ საფიქსაციო ობიექტთა შორის. ასიმეტრიული კვალის ილუზორული მოქმედება ხანგრძლივად ჩერება ძალაში, სუბიექტი დიდხანს ვერ ახერხებს ტოლი ობიექტების კვალის ტოლად იღმებს.

კვალის ილუზორული მდებარეობა იცვლება, როცა ფიქსაციას მცირე განსხვავების ობიექტებზე ვაწარმოებთ. კრიტიკული ობიექტების კვალი ამ შემთხვევაშიც ილუზორულად მოქმედეს, მაგრამ ის განლაგებულია არა ასიმეტრიულად, არამედ სიმეტრიულად. უკეთ რომ ვთქვთ, ცდის პირი ტოლი ობიექტების ორი კვალიდან ერთ-ერთს დიდად იღმევამს, სახელდობრ იქ, სადაც

საფიქსაციო ცდებში დიდი ობიექტი იყო მოთავსებული. მაშასადამე, ამგვარად დაყენებული ცდის თავისებულება იმაშია, რომ კვალი აქ აღვილს არ იცვლის, როგორც ეს პირველი ცდის შემთხვევაში იყო. სიმეტრიული კვალის თავისებულებას შეადგენს ისკუ, რომ იგი სუსტია და მალე ტოლად იღების შემთხვევებს უთმობს აღვილს.

სპეციალურ ლიტერატურაში ცნობილია განწყობის ილუზიების სიმეტრიული-ასიმილაციური და ასიმეტრიული-კონტრასტული მოქმედების წესი. როცა განწყობის რეალიზაციას ძლიერი წინააღმდეგობა ელობება წინ, სუბიექტში წარმოიქმნება მისი რღვევით განსაზღვრული „გარდამავალი მდგომარეობა“, რომელიც კონტრასტულ მოქმედებაში პოლობს გამოხატულებას. თუ ნაკლები წინააღმდეგობის დაძლევის წინაშე დგას იგი, მაშინ განწყობის რეალიზაცია თავისი ბუნებრივი გზით წარიმართება და კონტრასტული ილუზიების ადგილს ასიმილაციური ილუზიები იკვებენ.

ზესტად იგივე შეორდება კვალის მოქმედების შემთხვევაში: მოცულობით თვალსაჩინოდ განსხვავებული ობიექტების ფიქსაციის შედეგად ტოლი ობიექტების ექსპოზიციას თან სდევს კონტრასტული ილუზიებს აღმოცენება, ხოლო შეკრე განსხვავების ობიექტთა ფიქსაციის შედეგად იგივე კვალი გვიჩვენებს ასიმილაციურ მოქმედებას. ასეთია ჩენი ფაქტი, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ კვალის ილუზორული მოქმედება ემორჩილება და იმეორებს ფიქსირებული განწყობის ცვალების იმ ძირითად კანონს, რომელიც თავის დროშე დ. უზნა-ძის [1] მიერ იყო დადგენილი.

კვალის კონტრასტული და ასიმილაციური მოქმედება შესაძლებელია განვითილოთ როგორც მისი ჩაქრობის ცალ ფაზები. მაშინ მას ისიც დაერთვის, რომ ილუზის ჩაქრობის ერთ-ერთ ფაზაზე კვალი ტოლად იღებება. ამგვარად, კვალის ჩაქრობის სამ განსხვავებულ ფაზაზე შეიძლება ვილაპარაკოთ: კონტრასტულზე, ასიმილაციურზე და ტოლობის ფაზაზე.

კრიტიკული ობიექტების ექსპოზიციის დაწყებიდან, როგორც წესი, კვალი დიდი მოცულობის ჩანს არა საგანწყობო ცდების, არმედ მათ მოპირდაპირე მხარეზე. ეს იმის მაჩვენებელია, რომ თავდაპირველად სამოქმედოდ გამოდის კონტრასტული ილუზის ფაზა (I ფაზა). ხშირად იგი თითოეული ექსპოზიციის ფარგლებში ცვალებადობს—ზოგჯერ უფრო დიდი ჩანს, ზოგჯერ პატარა. მოცულობაში თუ ძლიერ გაიზარდა, შეიძლება დამახასიათებელი ბრწყინვალება და ფორმა დაკარგოს. კონტრასტული კვალი ზოგჯერ გაიწელება, ოდრიյალის ფორმას მიიღებს და შეუძინა განსხვებილი შეუერთდება მის გვერდით მდებარე კვალს. მცირედორო სკმარისათ, რომ ეს მოციმიციმე ოდრიკალი გაწყდეს და მხედველობის ველზე კვლავ ერთიმეორისაგნ დამოუკიდებელი კვალი ამოტივტივდეს. საერთოდ, კონტრასტული კვალი იძერება, ცამციმებს, მოძრავი — აიჭვევა, თითქოს „ერთბაზად მოწყდება“, ან გადახტება და „ზედ დაახტება“ ასიმილაციურ კვალს. მან ეს მოძრაობა შეიძლება უკუმიმართულებითაც გაიმუროს და კვლავ თავის აღგილს დაუბრუნდეს. კონტრასტული კვალი გარკვევით ამეღავნებს ტენდენციას თავისკენ მიიზიდოს მის გვერდით მდებარე პატარა კვალი. ამის გამო მანძილი მათ შორის სულ უფრო და უფრო მცირდება, რასაც შეიძლება მოჰყვეს

კვალთა „შერწყმა და წარმოიქმნას საშუალო მოცულობის ერთი კვალი“. ზოგ შემთხვევაში პატარა კვალი ახლოს მიუცოცდება კონტრასტულ კვალს, ნახევ-რად შეიძრება მასში ან ზედ დაეკრება. კონტრასტული კვალი ერთგვარ „მოუსცენრობას“ ამჟღავნებს, თითქოს სუბიექტის განცდაში მცვიდრი აღგილი ვერ უშოვია და ამისათვის „იბრძეის“.

კვალთა ასეთი „ბრძოლა“ ხშირად იმით მთავრდება, რომ კონტრასტული ილუზის ადგილს იკავებს კვალის ასიმილაციური ილუზია (II ფაზა). ეს უკანას-კნელი კვრასოდეს ვერ აღწევს კონტრასტული კვალის სიდიდეს, დინამიკას და ხანგრძლიობას. იგი თავიდან კონტრასტული კვალისკენ მიიწევს, უახლოვდება და ხშირად შეერწყმის კიდევ მას. როცა იგი დამოუკიდებელი ძალით აღიჭურ-ვება, მაშინ მანძილი კვალთა შორის დიდდება, და ისინი მხედველობის ველზე ცალ-ცალკე ადგილს იკავებენ. ახლა ასიმილაციური კვალი მეტ აქტიურობას იჩენს და კონტრასტული კვალის ქცევის განმეორებას ცდილობს, მაგრამ ძალის გამომტევნებაში სისუსტე ეტყობა. იგი თანდათან იმდენად კლებულობს მოცუ-ლობაში, რომ მათ შორის განსხვავების დანახვა გაძნელებულია. ასიმილაციურმა ილუზიამ შეიძლება ადგილი კონტრასტულ ილუზის დაუთმოს, მაგრამ ეს, ასე ვთქვათ, უნიადაგო რეციდივია, რომელიც მაღლე კარგავს ძალას.

კონტრასტულ და ასიმილაციურ ფაზათი ასეთ მონაცემებაში ხშირად გამოიჩინა კვალთა ტოლად აღქმის შემთხვევებიც. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კვალის ილუზორული მოქმედება აღკვეთილია. ტოლობის აღქმა უმე-ტეს შემთხვევაში მხოლოდ რომდენიმეჯერ განმეორების შემდეგ აღწევს გა-მტკიცებას. ასე ყალიბდება ილუზის ჩაქრობის საბოლოო, III ფაზა.

თუ კრიტიკულ ექსპოზიციათა დრო შეეძმოკლეთ, მაშინ ორ კვალს შუა ჩაჯდება მესამე, რომელიც მოცულობით ხან ერთს უახლოვდება, ხან კიდევ მეორეს. ახლა ცდის პირი მხედველობის ველზე სამ კვალს ჭვრეტს და გაკვირ-ვებული ჩივის: ეს მესამე საიდან გაჩნდაო. სამი კვალის ჭვრეტა ხელს უშლის ცდის პირს გაერკევს მათ მოცულობაში. ორ დანარჩენთან შედარებით მესამე კვალი მაღლე ქრება, „აორთქლდება“ და უკონფლიქტოდ თმობს აღგილს.

ეს დაკვირვება არ არის ინტერესს მოკლებული იმდენად, რომდენადც ცდის პირებს გარედან მოცემულად აქვთ განცდილი შინაგანი მომენტები, რო-მელნიც სენსორულ ველზე მიმდინარეობენ. ასეთია, მაგალითად, კვალთა ჭი-დილი მხედველობის ველზე, მათი შერწყმა და გათიშვა, ურთიერთის აღგილის შენაცვლება, ახევა და ა. შ. ყოველივე ეს წარმოადგენს ცენტრალურ ნერ-ვულ სისტემაში მიმდინარე აქტიური და დინამიკური პროცესის კრძო მო-მენტებს, რომელიც გვიხასიათებენ სუბიექტის კონტრასტული და ასიმილა-ციური ილუზიების სახით ჩამოყალიბებულ განცდის ბუნებას. ამ პროცესისადმი გარეგანი მიყურებლის მდგომარეობაში ყოფნა აძლევს ჩვენს ცდის პირებს სა-შუალებას საკუთარი განცდის აღწერაში ესოდენ სისრულესა და სიზუსტეს მიაღწიონ.

ზემოაღნიშნულის გარდა, კვალის ილუზორულ მოქმედებას მთელი რიგი ისეთი ნიშნებიც აღმოაჩნდა, რომელიც ფიქსირებული განწყობის ცდებიდანაა

ცნობილი. მაგალითად, ცდის პირთა უმრავლესობა კრიტიკული ობიექტების რამდენიმე მიწოდების შემდეგ ახერხებს კვალის ტოლად აღქმას. ეს კვალის დინამიკური ძირი ს მაჩვენებელია. რაც შეეხება ცდის პირთა დანარჩენს, მცირენაშილს, ისინი 30 ექსპონტიციის ფარგლებშიც კი ვერ იშორებენ თავიდან იღუზიას,—მათი კვალი ს ტატიკურია.

ფიქსირებული განშტობისა და კვალის ურთიერთან შედარებამ გვიჩვენა, რომ თითოეულ ინდივიდში ორივეს ჩატრობის ტიპი საესტილი ემთხვევა ერთობეორეს. პლასტიკური განშტობის ადამიანების კვალი პლასტიკურია, დინამიკური განშტობის სუბიექტთა კვალი—დინამიკურია.

კვალის ილუზორული მოქმედების ჩატრობის პროცესის შესწავლიდან ისიც ნათელი შეიქნა, რომ ეს პროცესი ყოველ ცალკე ადამიანში უცვლელი სახით მეორედება: ის კონსტანტურია.

იგი ხანგრძლივად რჩება ძალაში. კვალის ილუზორული მოქმედება არ აღიკვეთება ფიქსაციიდან მეორე, შესამე და მეშვიდე დღესაც—იგი სტაბილურია.

ოპტიკურ კორესპონდულ ორგანოთა შორის კვალის გადატანის ცდები წარმატებით დასრულდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ იგი ორადიაციით ხასიათდება.

განსხვავებული მოცულობის წრეებზე კვალის ფიქსაციის შემდეგ ცდის პირები ილუზორულად აღიქვამენ ტოლი ელიტების, ტოლი კვადრატებისა და ტოლი ჟამუნთხედების კვალს. ამ ცდებში დადასტურებულია მისი გენერალიზაციის ფაქტი.

თავისებური აღმოჩნდა კვალის ლატენტური პერიოდიც: ამის მიხედვით სუბიექტთა შორის განსხვავება 1—5 სეკუნდს აღწევს.

მოცულობის ილუზიასა და კვალის ილუზიას, როგორც ვხდავთ, საერთო ჰქონიათ მთელი რიგი ნიშნები. კავშირი მათ შორის უახლოესი ჩანს, და ეს შესაძლებლობას იძლევა ორივე ერთნაირად დავახასიათოთ.

ამის გამო აქვთ შეიძლება ვიკითხოო, თუ რა არის ილუზის წარმოქმნის მიზეზი. ამ კოთხეაზე პასუხის მისაღებად ჩვენს განკარგულებაში რჩება ერთი შესაძლებლობა—მიგმართოთ საფიქსაციო ან საგანშტობო ცდებს. ამ ცდებში მოცულობით განსხვავებული აბიექტების ფიქსაცია ხდება. კრიტიკულ ცდაში ამ ფაქსაციის აუცემტი ადვილად არ უთმობს ადგილს ტოლი აბიექტების ზეგალენას. სუბიექტი ყოველი ტოლი წრის ექსპონტიციის საგანშტობო ცდაში ფიქსირებული განწყობით ეგებება. მოცულობის ილუზის წყაროს საერთოდ და, კერძოდ, ჩვენს შემთხვევაშიც, სწორედ ეს წარმოადგენს, რადგან კვალის შემთხვევაშიც ფაქტობრივ მოცულობის ილუზიასთან გვაქვს საქმე.

მაშასადამე, ის ძალა, რომელიც გამოიჩინებლის აღკვეთის შემდეგაც განაგრძობს არსებობას და საფუძლად ედება როგორც კვალის, ცე აღქმული მობიექტის მოცულობის ილუზიების აღმოცენებას, სწორედ ფიქსირებული განშტობის ეს იმპულსია.

ამის შესამოწმებლად ვნახოთ ისეთი შემთხვევები, სადაც სწორედ ფიქსაციის მომენტია გამორიცხული. რა შედეგებს მოგვცემს აქ ჩვენი კვალის ცდე-

ბი? ამის გასარკვევად სპეციალურად შევარჩიეთ ისეთი ცდის პირები, რომელთაც განწყობის ოპტიკური ფიქსაცია ექსპერიმენტულად მოუხერხებელი აღმოაჩნდათ. ამავე ცდას პირებზე დავაყენეთ კვალის ფიქსაციის ცდებიც. ცდების შედეგებმა გვიჩვენა, რომ ჩვენს სუბიექტებს არც კვალის ილუზორული მოქმედების ფენომენი ჰქონიათ. უმრავლესობამ ვერ მოახერხა პოზიტიური კვალის უბრალო დანახვაც კი; ზოგს არც ნეგატიური კვალი აღმოაჩნდა. მაშასადამე, სადაც განწყობის ფიქსაციის ცდები არ იძლევა ეფექტს, ყველა ასეთ შემთხვევაში თანამიმდევარი ხატის ან კვალის აღმოცენება თავიდანვე აღვეოთილი გამოდგა.

რასაკირკველია, ეს შესაძლებლობას იძლევა კვალის აღმოცენების ძირითად წყაროდ განწყობის ფიქსაცია ჩავთვალოთ. მაგრამ ასეთი დასკვნის სისწორეში ერთ გარემობას შეუძლია ეჭვი შეგვატანინოს. კრიტიკულ ცდებზი, რასაკირკველია, ჯერ განათებული ობიექტები აღიქმება ილუზორულად და შემდეგ ამისა თვით ამ ობიექტების კვალი. ამის გამო შეიძლება დაიბადოს კითხვა: რატომ ვთვლით ილუზის წყაროდ სწორედ განწყობას და არა აღქმას? თუ სხენებული ფაქტის უშუალო შინაარსიდან გამოვალთ, მაშინ დასკვნაც ამის შესაფერი უნდა გამოვიტანოთ: კვალს ობიექტების ილუზორული აღქმა უსწრებს წინ, მისი ილუზორული მოქმედება ამაზეა დამოკიდებული, ე. ი. ილუზორული აღქმის კვალთან გვაქვს საქმე და არა განწყობასთან.

ამ საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მოინახოს ფაქტი, რომელიც მაშინაც გვიჩვენებს კვალის ილუზორულ მოქმედებას, როცა მას არ უსწორებს წინ ამავე ობიექტების ილუზორული აღქმა. ამას მივაღწიეთ სინათლის შეტ-ნაკლებად სწრაფი ჩაქრობით. ყოველ ცალკე შემთხვევაში სინათლეს ისე სწრაფად ყიქრობდით, რომ ცდის პირებს იღკვეთილი ჰქონდათ კრიტიკული ობიექტების ილუზორული აღქმის შესაძლებლობა. უზერქს შემთხვევაში ისნი არა მხოლოდ საგანთა მოცულობის შედარებას, არამედ იმის დინახვასაც კი ვერ ახერხებდნენ, თუ რა ფორმის იყო კრიტიკული ობიექტი. მიუხედავად ამისა, ტოლი ობიექტების კვალი შაინც ილუზორულად განაგრძობდა მოქმედებას. ამ პირობებში აღმოცენებული კვალი თავიდან პატარა მოცულობის ჩანს, იქვე ერთი მათგანი გაიბრება და შემდეგ თანდათანობით კიდევ უფრო გაიზრდება. ჩევულებრივი წესით მიღებულ კვალთან შედარებით იგი ჩაქრობის ტენდენციას ამჟღავნებს.

ჩანს, რომ კრიტიკული ობიექტების აღქმის გამო ჩიცხეს არ მოჰყოლია კვალის ილუზორული მოქმედების აღკვეთა. მაშასადამე, სუბიექტში ფიქსირდება არა აღქმა, არამედ ის სპეციფიკური მოდიფიკაცია, რომელიც ჩვენთან განწყობის სახელით აღინიშნება. ხატის ილუზორული მოქმედების მიხეს ეს წარმოადგენს და არა ცალკეული აღქმის აქტები.

დასასრულ, დავუბრუნდეთ თავშივე დასმულ კითხვას: არის თუ არა თანამიმდევარი ხატი განწყობისაღმი დამორჩილებული მოვლენა? ვთიქრობთ, ახლა ამ კითხვაზე დადგებით პასუხის გაცემა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: კვალის ილუზორული მოქმედება ფიქსირებული განწყობიდან ნიშანის განწყობის დასკვნას მოისამართოს.

ები შეორადი ხასიათის მოვლენა, ეს იმასც ნიშნავს, რომ თანამიმდევრი ხატი, როგორც ფსიქიკური სინამდვილე, ადამიანის ქცევაში, სხვა ფსიქიკური პროცესების მსგავსად, სუბიექტის განწყობის შესატყვისად ორგანიზებული ღებულობს მონაწილეობას.

„უშუალობის ჰიპოთეზის“ თვალსაზრისხე მდგომი კვალის თეორიები ამ ფაქტებს არ იცნობენ და, რასაკვირველია, ვერც მათ ისახსნელად გამოდებიან. ამიტომ მართებულად მიგვიჩინა დაცვათ საკითხი როგორც კვალის გაბატონებული თეორიების, ისე კვალის ტრადიციული ცნების გადასინჯვის შესახებ, მაგრამ ჩვენი მასალა ჯერჯერობით მხოლოდ ე. წ. დადებითს კვალს ეხება. რაც შეეხება უარყოფითი კვალის საკითხს, ის ჯერ კიდევ სპეციალური შესწავლის საგნად უნდა დაისახოს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
 ფსიქოლოგიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 30.11.1949)

დამოუმზული ლიტერატურა

1. დ. უ ს ნ ა ძ ე. გაწყობის ცდლის ძირითადი კანონი, კრ. უმასალები განწყობის ფსიქოლოგიისათვის”, 1938.

ტიპიკის ისტორია


ი. გბილიშვილი

ძელი ხილი თბილისში მდ. ვერხი

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ნ. ბერძნიშვილმა 15.10.1949)

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემთხვევა ქ. თბილის ძლიერ გაიზარდა. 1930 წლიდან თბილისის მშენებლობა ქალაქის რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის საფუძველზე წარმოებს. ამ გეგმის ნაწილია თბილისის დასაცემთი გარეუბნის — საბურთალოს — რეკონსტრუქცია, სადაც უკვე გაჩნდა საბჭოთა კავშირის გმირთა სახელმის დიდი მოედანი და მის გარშემო აღმიართა მრავალსართულიანი შენობები. ქალაქის ამ ნაწილში 1933 წელს ვაიკანეს ახალი ქუჩა და მტკვრის შენაკად მდ. ვერხის აიგო ახალი ხილი. ამის გამო იქვე მდებარე ძველ ხილს მნიშვნელობა დაეკარგა და იგი მთავარი ქუჩის მიღმა დარჩა.

ძველი ხილი, ორმელიც ჩენი შესწავლის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს საბჭოთა კავშირის გმირთა მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, ახალი ხილის გვერდით, მისგან ორიოდე მეტრის მანძილზე (სურ. 1).



სურ. 1

XVIII საუკუნის დასაწყისში ეს ხილი ქალაქების მდებარეობდა. XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ქალაქის ამ მიმართულებით ზრდის გამო, იგი განაპირობდა უბანში მოექცა, ამჟამად კი ის თითქმის ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია.


ხილი მტკვრილი დაახლოებით 200 მ ნანძილზე მდებარეობს. იმ აღგილას მდინარის ნარწყულის სიგანე თითქმის 60 მეტრია. მდინარის მარჯვენა ნაპირი ციცაბოა და კლდოვანი, მარცხენა ნაბირი კი ტერასის წარმოადგენს.

გ. „მოამბე“, ტ. XI, № 2, 1950

მდ. ვერე ტიპობრივი მთის მდინარეა და მას ჰიდროელექტრი რეჟიმი მეტად ცვალებადი აქვს. გვალვების დროს მისი წყლის ხარჯი წამში ასიოდე ლიტრია, ხოლო უცი ნალექების დროს რამდენსამე ათეულ კუბურ მეტრს აღწევს. ასეთი რეჟიმით უნდა აისხნას მისი ალუვიონის სისქის დიდი ცვალებადობა წლის განმავლობაში. ხიდთან ნარწყულში ალუვიონი ორ მეტრს აღწევს. ეს ნალექები ხიდის მარჯვენა ნაწილში ტუფოგნერ ქვიშაქვებებს ადევს თავზე, ხოლო მარცხენა ნაწილში შესაძლებელია ძველ ტბიურ თიხაქვიშნარ ნალექებს ედოს.

ძველ ხიდს სამი მალი ჰქონია, ის რიყის ქვებით აგურით, დუღაბით აუგიათ. სავალი ნაწილის გრძივ ქანობს დაქანება ორივე მხრივ ჰქონია. ცენტრალურ ნაწილში ბურჯვები ტალისიმურელებით ყოფილი გამაგრებული.

ხიდის მშენებლობის სხვადასხვა პერიოდის შესატყვისი ფენების დაკვირვება ცხადყოფს, რომ XIX საუკუნეში ხიდი საფუძვლიანად გადაუქოთებიათ. ხიდის მარჯვენა ნაწილში დაუშემტებიათ მეოთხე მალი და სავალი ნაწილი ჰორიზონტალურ მდგომარეობაში მოუყვანიათ. ამის გარდა, გაგანიერებულ ნაწილში ამოუყვანიათ „ფრთები“ და მოუწყვიათ ხიდის სავალი ნაწილის გვერდით რკინის ბრჯვენებზე გადებული საცალფეხო გზა ჩაინის მოაჯირითერთ (სურ. 2).



სურ. 2

ხიდის სიგრძე 62 მ, ხოლო სიგანე 5,77 მეტრია. სამსაევ თალს ისრული მოყვანილობა აქვს. ცენტრალური ხერეტის ზომა 8,8 მ უდრის, თალის სიმაღლე—4,5 მ; ნაპირის თაღების ხერეტის ზომა 7,80 მ, თალის სიმაღლე—3,5 მ, ყველა თალის სისქე 0,68—0,74 მეტრია.

ხიდის თაღები ამოყვანილია „ქართული აგურით“ ($22 \times 22 \times 3,5$ ცმ), ხოლ ბურჯები და „უბები“ — რიყის ქვებისა და აგურის ფენების მორიგეობით.

ხიდი ამჟამადაც იმდენად მტკიცეა, რომ თავისუფლად უძლებს დატვირთულ სამტონან საბარევო მანქანას.

ხიდის ბურჯებისა და თაღის დუღაბთა ნიმუშების ქიმიური ანალიზები მოტანილია 1 ცხრილში⁽¹⁾.

ცხრილი 1

ნიმუშების დასახელება	შე სწო რი	გასურების დროს დანა- კარგი	მარილის ჩეა- ვაში უსსნადი ნიერების ნაშთი	ქიმიური კომპონენტები					
				R ₂ O ₃	CaO	NgO	SO ₃	CO ₂	CaSO ₄ 2H ₂ O
ბურჯის დუ- ღაბის ნიმუში	5,0	5,12	43,77	8,60	20,60	0,75	2,69	13,80	—
თაღის დუღა- ბის ნიმუში	13,46	4,69	9,11	1,35	29,08	0,10	41,11	2,06	88,40

იმავე ნიმუშების პეტროგრაფული გამოკლევა შემდეგ სურათს გვაძლევს:

ა) ბურჯის დუღაბის ნიმუში. უმთავრესი მასა თლილში მუქი ნაცრისფერია და პელიტომორფული კალციტისაგან შედგება. დუღაბის მასაში ჩართული ქვიშის მარცვლები წარმოადგენს პორფირიტის სხვადასხვა ზომის ნატეხებს და აგრეთვე ცოტაოდენს კვარცისას. მას გარდა, არის ქვიშიანი კირქვის ერთი მსხვილი ნატეხი. მარცვლების გარშემო ცემენტს ალაგ-ალაგ მიკროკრისტალური აგებულება აქვთ.

ბ) თაღის დუღაბის ნიმუში. შლიფში ჩანს წვრილმარცვლოვანი თიხიან-თაბაშირიანი მასა, რომელშიაც მრავლად გახვდება თაბაშირის სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის მარცვლები, მეტწილად ბოჭკოვანი აგებულებისა. თლილში იყო აგრეთვე კალციტის რამდენიმე მარცვალი. ქვიშის ნაწილაებს შორის გახვდება პლაგიოკლაზისა და პელიტური ტუფის ორიოდე მარცვალი.

ამრიგად, დუღაბთა ნიმუშების ქიმიური და პეტროგრაფული გამოკვლევა ადასტურებს, რომ ხიდის ბურჯების წყობაში დუღაბად კირია გამოყენებული, ხოლო თაღში — გაჯი. ჩვენი აზრით, წყობაში კირის სიმტკიცე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენადაა კალციტი ($CaCO_3$) გამოკრისტალებული ქვიშის მარცვლების გარშემო, პირველად პელიტურ მასაში, ჰაერის ნახშირინერინისა და წყლის გავლენით, დროის გარკვეულ მონაკვეთში; გაჯის სიმტკიცე კი დამოკიდებულია მასაში თაბაშირის ($CaSO_4 \cdot 2H_2O$) კრისტალების რაოდენობაზე.

⁽¹⁾ დუღაბების ქიმიური შედგენილობა და მათი ფიზიკური თვისებები განსაზღვრა შეტანურგიული ქარხნის რკინ-ბეტონის ცენტრალურმა ლაბორატორიამ, ხოლო ამავე ნიუშების პეტროგრაფული შედგენილობა — ვეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა, პეტროგრაფმა გ. ძოშენიძემ.

ჭირის დუღაბი ხისტია, რაღაც მასში წვრილი ხვინჭა და მსხვილმარცვლოვანი ქვეშა ურევია. მისი სიმტკიცე და აგურთან შეწებების უნარი იმდენად დიდია, რომ ხიდის ბურჯებში თუ სხვა ადგილას წყობის მასივიდან მისი გამომტვრევა მხოლოდ აგურთან ერთად შეიძლება. გაჯი კი ერთგვაროვანი თიხისებრა მასად და დასველებისაგან დაცულ ადგილებში ის საქმიოდ აკავშირებს აგურს თაღის წყობაში.

გაჯის ნიმუშების ფიზიკური და მექანიკური თვისებების შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა მე-2 ცხრილში მოტანილი შედეგები ლაბორატორიული გამოკვლევისა.

ცხრილი 2


ნიმუშის სახე	ნიმუშის ზომა მმ			წონა გ		მოცულ. წონა გ		წილი მდგრადი სფერო		დროებითი წინააღ. კუმშვასე	
	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე	სიგრძე	სიგანე	სიმაღლე	ტემპო	სივრცე
2	11,8	11,8	11,5	2,2	2,5	1,6	1,37	1,36	18,0	13,0	—
4	12,8	12,9	12,7	2,14	—	2,1	1,50	1,60	116,25	—	72,7

ამ ცხრილიდან ჩანს, რომ წყლით დასველებისას გაჯი მკვეთრად იცვლის თავის ფიზიკურ თვისებებს და კუმშვისასაღმი მისი დროებითი წინააღმდებარება. ეს გარემოება საყოველთაოდ ცნობილია და ლაბორატორიულმა ცდებმაც კი-დევ ერთხელ დაადასტურა, მაგრამ საინტერესოა, რომ, მიუხედავად მისი ასეთი თავისებურებისა, გაჯი მაინცაა გამოყენებული ხიდის ისეთ საპასუხისმგებლო ნიშილში, როგორიცაა თაღი. ეს აიხსნება მისი სხვა, დადგებითი თვისებით, სახელმისამართის წყობაში შეკორისების სწრაფი უნარით, რაც თაღების უყალიბოდ ამოყვანის საშუალებას იძლევა.

ხიდის კველა თაღის წყობის განხილვა გვიჩვენებს, რომ ქართული აგური დადგებულია წიბოზე, ორი მიმართულებით, თაღის „შემქმნელ ხაზის“ ან „მიმართველი ხაზის“ გასწორივ.

ზაგალითისათვის განვიხილოთ ხიდის მარტენია თაღის აგურის განლაგების გეგმა (სურ. 3). აქ ადვილად შევამჩნევთ, რომ თაღის ქუსლთან დასაწყისში აგური დადგებულია წიბოზე, შემქმნელი ხაზის მიმართულებით. გეგმაში აგურის ასეთი წყობა ქმნის ორ სოლს, რომლებიც კლიტეში თითქმის ერთდება. თაღის სხვა ნაწილში აგური წყობაში უკვე მიმართველი ხაზის გასწორივა განლაგებული. ანლოგიურ სურათს გხერდავთ სხვა თაღებშიაც.

ასეთი წყობა შეიძლება მივიღოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასიწყისში ამოვაშენებთ თაღის შუა ნაწილს, ორ სოლისმაგვარ წყობას, ხოლო შემდეგ თაღის დანარჩენ ნაწილს. საქართველოს ტერიტორიაზე ასეთსავე წყობას ვხედავთ მდ. ხრამშე გადებულ ძველ ხიდში, რომელსაც ამჟამად „წითელ ხიდს“ უწოდებენ [1], ხოლო ისტორიულად „გატეხილი ხიდი“ ეწოდება.



ସୂଚ 3. ପ୍ରକାଶନ କୌଣସି ତଥା ଲିଖିତ ମିତ୍ର. ପ୍ରେସର୍ସର୍ସର୍

ვერეს ხიდის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი [2] წერს: „ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა“. მდ. ვერეზე თბილისის მიდამოებში სხვა ადრინ-დელი ხიდის ნაშთები არსადა გვაქვს. უდავოა, რომ ვახუშტი გულასხმობს სწო-რედ იმ ხიდს, რომელიც ამჟამად ჩევნი მსჯელობის საგანს შეადგენს. მაგრამ ვახუშტი არ ასახელებს არც ხიდის აზენების დროს და არც იღმზენებელს. ხიდის აშენების დასათარილებლად შემდეგი საბუთები გამოგვადგება.

სრულიად უდავოა, რომ ეს ხიდი აშენებული იყო ვახუშტის რუსეთში გამგზავრებამდე, ე. ი. 1724 წლამდე. იმავე დროს ეს ხიდი შენების ტერიტორიის ზოგიერთი თავისებურებით ჰგავს როსტომ მეფის დროს (1632—1658 წ. წ.) მდ. ხრამზე გადებულ ქვის ხიდს, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ. ამიტომ ვერეს ხიდის აგების შესაძლებელ და ყველაზე აღრინდელ თარილიდ 1632 წელი უნდა მივიწინოთ.

ნაგებობათა კედლების კირით, ხოლო თალების გაჯით ამოცანა ხომ როსტომ მეფის დროის მშენებლობისთვისაა დამახასიათებელი. ამის მაგალითს წარმოადგენს ქ. თბილისშეცვე, ანჩისხატისა და სიონის ტაძრებს შორის, მტკვრის პირას მდებარე როსტომ მეფის სასახლის ანსამბლის ერთ-ერთი ნაგებობა, ე. წ. „ზარატებანა“ (ირაკლი მეორის მოედანი, № 3), სადაც კედლები კირითაა ამოცანილი, ხოლო ყველა თაღი—გაჯით.

ამრიგად, შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს, რომ მდ. ვერეზე თბილისიდან მცხოვრისაკენ მიმავალ გზაზე გადებული ხიდი აშენებული უნდა იყოს ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს XVII საუკუნის ნახევრისა.

საქართველოს სსრ მცნობერებათა აკადემია
 აკად. იუ. ჭავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი
 თბილისი

(რედაქტირის მოუვიდა (5.10.1949))

დამოუკიდებული ლიტერატურა

1. Г. П. Передерий. Курс мостов, М.—Л. 1931, стр. 37.
2. ვახუშტი აღწერა სამეცნიანო საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია). თბილისი, 1941, გვ. 54.

ვასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილუ ს. ჭილაძე

საქართველოს სსრ მცნობერებათა აკადემიის გამოცემლობის სტამბა, აკ. წერეთლის ქ. № 7
 Типография Издательства Академии Наук Грузинской ССР, ул. Ак. Церетели № 7

ხელმისაწვდომი დასაბ. 10.4.1950
 ანაწყობის ზომა 7X11

შედ. 106

ს. 02314

საბეჭდი ფორმა 4

საავტორო ფ. რაოდ. 5

ტირაჟი 1500

და გ ტ ე ბ უ ლ ი ა
 საქართველოს სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მიერ
 22.10.1947

დაბულება „საქართველოს სსრ მიცნიერებათა აკადემიის მოადგინების გოამბის“ შესახებ

1. „მოამბეში“ იძექდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშა-
 კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოკლედ გადმოცემულია მათი გამოცელე-
 ბის მთავარი შედეგები.

2. „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს
 სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.

3. „მოამბე“ გამოდის ყოველთვიურად (ოცნების ბოლოს), გარდა იყლის-აგვისტოს თვისა—
 ცალკე ნაკვეთებიდან, დააბლობით 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული. ერთი წლის
 ფაზა ნაკვეთი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგინება ერთ ტომს.

4. წერილები იძექდება ქართულ ენაზე, იგივე წერილები იძექდება რუსულ ენაზე პარა-
 ლეურ გამოცემაში.

5. წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღემატებოდეს 8 გვერდს.
 არ შემოუნდება წერილების დაყოფა ნაკლებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.

6. მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წერილისა და წევრ-კორესპონდენტების წერი-
 ლები უშუალეს გადატემით დასაბეჭდობა „მოამბე“ რედაქციის, სხვა ავტორების წერილები კი
 იძექდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონ-
 დენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს აკა-
 დემის რომელიმე ნამდვილ წევრს ან წევრ-კორესპონდენტს განსაბილებულად და, მისი დადე-
 ბითი შეფასების შემთხვევაში, წარმოსადგენად.

7. წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ სავ-
 სებით გამასაცემული დასაბეჭდად. ფორმულები მეცნიერ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი
 ხელით. წერილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავითარი შესწორებისა და და-
 მატების შეტანა არ დაიშევა.

8. დაირწებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შექლებისდაგარად
 სრული; საკითხო აღნიშვნის უზრონალის სახელწოდება, ნოვერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა,
 გამოცემის წელი, წერილის სრული სათარული; თუ ძალიშებულია წიგნი, საფალებულო
 წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის წლისა და ადგილის მითითება.

9. დამიწებული ლიტერატურის დასახელება წერილს ბოლოში ერთობის სიის საბით,
 ლიტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შეინშენებში ნაჩენები უნდა იქნეს ნომერი სიის
 მიხედვით, ჩამოული კვადრატულ ფრჩხილებში.

10. წერილის ტექსტის ბოლოს აერთობა უნდა აღნიშვნის სათანადო ენებზე დასახე-
 ლება და ადგილმდებარეობა დაწესებულებისა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი
 თარიღდება რედაქციაში შემოსულის დღით.

11. აერობს ეძღვება გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მკაცრად განსაზღვრული
 გადით (ჩეკულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილი გადისთვის კორექტურის წარმო-
 ზდგენლობის შემთხვევაში რედაქციას უფლება აქვს შეაქროს წერილის დაბეჭდვა, ან დაბეჭ-
 დოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.

12. აერობს უფასოდ ეძღვება მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითო-
 ეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბის“ ნაკვეთებისა, რომლებშიც მისი წერილია მოთავ-
 სებული.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ძმიშვილების ქ., 8.

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, т. XI, № 2, 1950

Основное, грузинское издание

ფასი 5 გან.

3. 71/156.

ა ხ ა ლ ი ნ ი მ ნ ე ბ ი

საქართველოს სსრ მიცნალებათა აკადემიის მიერ გამოცემული

1. სუმბათ დავითის ძის ქრონიკა ტაო-კლარჯეთის ბაგრა-
ტიონთა შესახებ. ე. თაყაიშვილის შესავლით, შენიშვნებითა და რე-
დაქტირით, თბილისი, 1949, გვ. 96, ფასი 6 მან.
2. ფსიქოლოგია. ტ. VI, ა. ფრანგიშვილის რედაქტირით, თბილისი, 1949,
გვ. 212, ფასი 18 მან.
3. საქმე მოციქულთა (ძველი ხელნაწერების მიხედვით), გამოსცა ილია
აბულაძემ, ა. შანიძის რედაქტირით, თბილისი, 1950, გვ. 34+224, ფასი
20 მან.
4. ლ. ბოჭორიშვილი. ქართული კერამიკა (კახური), ნაწ. I, გ. ჩიტაიას
რედაქტირით, თბილისი, 1949, გვ. 258, ფასი 25 მან.
5. სერგი ულენტი. სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები (ექს-
პერიმენტული გმირკვლევა), ვ. თოფურიას რედაქტირით, თბილისი, 1949,
გვ. 224, ფასი 15.
6. ვარლამ დონდუა. კალმასობა როგორც ყოფაცხოვრებითი მოვლენა
ძველ საქართველოში. ნ. ბერძენიშვილის რედაქტირით, თბილისი, 1949,
გვ. 108, ფასი 5 მან.
7. ვლ. ულენტი. გულისა და სისხლმილთა დავადებანი. მ. წინამდღვრი-
შვილის რედაქტირით, თბილისი, 1949, გვ. 112, ფასი 10 მან.